შაბათი, 29 სექტემბ. 1907 წ.

წელიწადი პირველი — № 213

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

# ისარი

## ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

დარეჯან სოლომონის ასული სოზიაშვილისა, ივანე, გრიგოლ, ალექსანდრე, ვლადიმერ, ალექსანდრა და სოფიო დავითის ძენი და ასულნი სოზიაშვილები; ეფემია ივანეს ასული საგინაშვილისა და ეკატერინე სოლომონის ასული უზნაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—ძვირფას მეუღლისა, მეორენი—საყვარელ და დაუვიწყარ მამისა, მესამე დაუვიწყარ—ძმისა და მეოთხე—საყვარელ სიძის

**დავით ივანეს ძის სოზიაშვილისას,**

და სთხოვენ მობრძანდნენ დაკრძალვაზედ კვირას, 30 სექტემბერს, დილის $9^{1}/_{2}$ საათზედ, ავჭალის ქუჩა, სახლი № 95, წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში და იქიდან წმ. ნინოს სასაფლაოზედ დასაკრძალავად. პანაშვიდი შაბათს, 29 სექტემბერს, ნაშუადღევის 5 საათზედ. (2—342—1)

იბეჭდება და ნოემბრის დამლევს გამოვა

**დროების კალენდარი**

**დამდეგი 1908 წლისათვის.**

კალენდარი შეიცავს რამდენიმე განყოფილებას, რომელშიაც მოთავსებული იქნება: **საკალენდრო ცნობები, რუსეთის იმპერატორების გვარეულობა და მათი ქონება, საქართველოს რუსეთთან შეერთების ტრაქტატი, ასტრონომიული ცნობები, ფოსტა-ტელეგრაფისა და რკინისგზის ცნობები, უცხოეთის სახელმწიფოების ცნობები, პოლიტიკურ პარტიების პროგრამები, სტატისტიკური ცნობები, იურიდიული ცნობები, საექიმო და სამეურნეო ცნობები, შესანიშნავი ამბები 1905—1907 წ. მომხდარი და მრავალი სხვა ცნობები.**

✦ კალენდარში დაიბეჭდება ყოველგვარი განცხადებანი ✦

ვინც ახლავე დაიკვეთს „დროების კალენდარს, იმას 30% დაკლებით დაეთმობა.

ადრესი: ტფილისი, „იდეალის“ სტამბა „**დროების კალენდრის**“ გამომცემელს.

**„კახეთის“**

**მევენახეთა საზოგადოების გამგეობა**

აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა 1907 წ. 28 ოქტომბერს დანიშნულია საზოგადო კრება ტფილისში დილის 10 საათზედ საზ. კანტორაში. კრებამ უნდა განიხილოს 15 მარტს ამორჩეულ კომისიის მოხსენება. (2—ნ.—2)

**კახური ღვინო**

პირველ ოქტომბრიდან ახლად გაიხსნება **კახური ღვინის სარდაფი** კახელ მევენახეთა

**თავ. ჯანდიერისა და არღუთინსკი-მხარგძელისა,**

სადაც ღვინის მომხმარებელთ ზომიერ ფასად შეუძლიანთ მიიღონ ნამდვილი კახური საუკეთესო ღვინო, ნამდვილი ყურძნის ნაწური. დარწმუნებულნი ვართ, რომ მომხმარებელნი კმაყოფილნი დარჩნენ.

სარდაფი მდებარეობს ქალაქ ტფილისში, ველიამინოვის ქუჩაზედ, აირუმოვის სახლში, № 7 „**ველის ციხე**“.

უმორჩილესად ვთხოვთ ღვინის მომხმარებელთ, ყურადღება მიაქციონ ეტიკეტს. (21—343—1)

**განცხადება**

**ამით ვაუწყებ ამიერ კავკასიის მევენახეთ,**

რომ ტფილისელმა სირაჯებმა პირადი ინტერესებისთვის გაავრცელეს ხმა, ვითომ ხოსროევის ქარვასლაში არავის არა აქვს უფლება ღვინის მიტანისა. მათ წინააღმდეგ მე შესაფერი ზომები მივიღე და შემდეგისთვისაც ვაფრთხილებ. ხოლო მევენახეებს ვაუწყებ, რომ ქარვასლაში თავისუფლად შეიძლება ღვინის მოტანა და ეხლაც მოაქვთ კომისიით. თუ ვინმემ გაბედა და ქარვასლაში ღვინის მოტანა აუკრძალა ვისმეს, გენერალ-გუბერნატორთან ვუჩივლებ.

**მოიჯარადრე ისაია კასპაროვი.** (2—340—2)

კახური ღვინით ვაჭრობა

**„ზირვა“**

ახლად მივიღეთ დიდ მალი საუკეთესო

ფასები ზომიერია **კახური ღვინოები** ფასები ზომიერია

ნიკოლოზის და გეიდენოვის კუთხე, № 17.

**ტფილისში.** (50—262—10)

კბილის ექიმი

**ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (64)

ექიმი

**მ. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—188)

ქ. ქუთაისში

**ექიმი ი. ი. ჩარექოვი**

იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისიან და კანით ავადმყოფებს**. სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუბონებს და სხ. უაპერაციოდ **პროფ. ზიერის** მეთოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (25—ფ.—22)

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

**კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათმდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი

**იჭ. გომართელი**

პირველ ოქტომბრიდან მიიღებს ავადმყოფებს ქ. ტფილისში. გოლოვინის პროსპექტი სახ. თამამშევისა № 33. (25—526—15)

**კბილის ექიმი**

**ს. გ. რომანიშვილი**

მიიღებს კბილებით ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდის და საღამ. 4—6 საათამდის.

მუხრანის ქუჩა № 11. ქალაქის სამკურნალოს გვერდით. (25—ბ.—10)

**ელექტრონის და რენტგენის სამკურნალო კაბინეთი**

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (26—ნ.—11)

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—6 ს. კერა, ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—289—21)

**ქუთაისში**

კბილის ექიმი

**ე. დ. ნასარიძე**

იღებს ავადმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (25—288—20)

ექიმი

**ვ. ს. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11^{1}/_{2}$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

**ტრამვაის სამუსიკო ამხანაგობისაგან**

**„რენესანსის“ თეატრში**

შაბათს, 29 სექტემბერს, 1907 წელს, წარმოდგენილი იქნება ქართულად

**და-ძმა**

დრამა 5 მოქ. 6 ს. გუნიასი.

**რუსულ ენაზედ**

**ძვირფასი კოცნა**

ვოდევილი 1 მოქმედ.

დასასრულს ევროპიული ცეკვა. დასაწყისი სწორედ $7^{1}/_{2}$ საათზედ.

2—უ.—2) გამგე დირექტორი **ფრიდმანი**

**შაბათს, 6 ოქტომბერს,** ტფილისში გამოვა ახალი ყოველკვირეული იუმორისტული კარიკატურებიანი ჟურნალი

**ეკალი**

ჟურნალში მოთავსებული იქნება სურათები და მოკლე ბიოგრაფიები გამოჩენილ მწერალთა, მოღვაწეთა და თავისუფლებისათვის თავდადებულთა. ლექსები და პოემები სახუმარო და სერიოზული. მოთხრობები და სურათები ახლო წარსულიდან და სხვ...

**ხელის მოწერა და აგრეთვე დასაბეჭდი მასალა მიიღება შემდეგი ადრესით:** Тифлисъ редакція „Экали“, Платону Гедевановичу Гачечиладзе.

**თანამშრომლებს მიეცემათ შესაფერი ჰონორარი**

ჟურნალი დაიბეჭდება სორაპნის სტამბაში.

**დაიბეჭდა**

**ქართული ქრისტომატია**

მღ. მელიტონ კელენჯერიძისა. შინაარსი: ყველა საუკეთესო ნიმუშები ქართული პროზისა, გაულექსავი პოეზიისა და ლექსებისა. წიგნი იხმარება საშუალო სასწავლებლების I—VIII კლასებში. ფასი 65 კაპ. დაკეთა შეიძლება ჯერ ფოთში, საველო გიმნაზიაში ავტორთან. (1—ნ.—1)

**ქუთაისის სამეურნეო ამხანაგობა „კოლხიდა“-ს გამგეობა** ამით აუწყებს ამხანაგობის წევრებს, რომ წლიური მორიგი კრება ამხანაგობისა დანიშნულია ათ ოქტომბერს ამ 1907 წ., 5 საათისათვის საურთიერთო ნდობის საზოგადოების დარბაზში. კრება თუ აღნიშნულ რიცხვი არ შესდგა, იმ შემთხვევაში დაინიშნება 28 ოქტომბერს. კრების განსახილველი საგნები ცალკე ბარათით ეცნობებათ წევრებს. მეორე კრება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, კანონიერათ ჩაითვლება. (2—კვ.—1)

### ტფილისი, 29 ენკენისთვე.

რამდენიმე დღის წინად ჩვენ ვწერდით ეგრედ წოდებულ „რუსთა კურიებზე“ განაპირა ქვეყნებში. 3 ივნისის კანონმდებელმა განზრახ განაცალკევა რუსი მცხოვრებნი განაპირა ქვეყნების „ინოროდცებისაგან“ და კანსაკუთრებული საარჩევნო უფლება მიანიჭა მათ იმ აზრითა და იმ იმედით, რომ, ერთი მხრით, ინოროდცების უფლების შეზღუდვა და, მეორეს მხრით, ერთი მუჭა ადგილობრივ რუსთათვის ცალკე წარმომადგენლობის მინიჭება გააძლიერებენ რუსთა ელემენტს სათათბიროში და, უმთავრესად, გააძლიერებენ იმ „რუსსკი დუხს“, რომელზედაც ასე ზრუნავს 3 ივნისის კანონის შემქნელი. „რუსთა კურიის“ დაწესებით მთავრობამ რუს რეაქციონერების წადილი აასრულა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ განაპირა ქვეყნებში, „ინოროდცების“ შორის, რუსნი უფრო მეტ „პატრიოტობას“ გამოიჩენენ და უთუოდ ჭეშმარიტ რუსებს აირჩევენო.

წინა წერილში ჩვენ მოვიყვანეთ ზოგი ცნობა, რომელნიც ახასიათებდნენ საქმეთა მდგომარეობას „რუსთა კურიებში“. ეს პირველი ცნობები გვეუბნებოდნენ, რომ მთავრობასა და რეაქციონერებს კარგად ვერ გამოუანგარიშებიათ და ადვილად შესაძლებელია, იმედი გაუცრუვდეთ: შესაძლებელია „რუსთა კავშირებმაც“ ოპოზიციას დაუჭირონ მხარი. ეს ეს იქნებოდა არა მარტო პოლიტიკური ეფექტი, არამედ სამარცხვინო დამარცხება „ინოროდცების“ მუძულე რუს შოვინისტებისა, რომელნიც რუსის ხალხის სახელით ბოროტად სარგებლობენ და სიძულვილის თესლს უხვად სთესენ ხალხთა შორის...

სხვათა შორის. ჩვენ ვწერდით, რომ ამიერ კავკასიაშიაც მოსალოდნელია ოპოზიციის გამარჯვება „რუსთა კურიაში“. ჩვენს იმედს იმაზე ვამყარებდით, რომ ჩვენს ქვეყანაში სხვა და სხვა მიზეზთა გამო ბევრია რუსის მუშა-ხალხი: ქალაქად—მუშები, ხელოსნები, სოფლად—გლეხობაც; ბევრია სექტანტი და სხვა; ყველა ეს ელემენტი უფრო ოპოზიციონურს განწყობილებაშია და მათ საერთო არა აქვთ-რა მოხელეთა იმ წრესთან, რომელიც აწარმოებს კაცთ-მოძულე პოლიტიკას ინოროდცების მიმართ. აღნიშნული მიზეზი, ჩვენის ფიქრით, უთუოდ მისცემდა გამარჯვებას რუს მცხოვრებთა ოპოზიციონურს ელემენტებს, მათ შორის სოლიდარული მოქმედება რომ ყოფილიყო. მაგრამ ოპოზიციის დაქსაქსვა დღეს საეჭვოდ ხდის საქმეს და მაღლა სწევს შავრაზმელთა შანსებს.

ავიღოთ, მაგალითად, ტფილისის არჩევნები. ხვალ, 30 ენკენისთვეს, ტფილისის „რუსთა კურიამ“ უნდა აირჩიოს თერთმეტი ამომრჩეველი. ეს ისეთი საგრძნობელი რიცხვია და, მეორეს მხრით, ტფილისის არჩევნებს ისეთი ზნეობრივი მნიშვნელობა აქვს, რომ შესაძლებელია ხვალინდელმა დღემ საბოლოოდ გადასწყვიტოს საკითხი, ვის გაგზავნის სათათბიროში ამიერ კავკასიის რუსობა. ამიტომ სწორედ ხვალინდელ არჩევნებში იყო საჭირო სიფრთხილის გამოჩენა. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ოპოზიცია გაყოფილა: ცალ-ცალკე გამოდიან კადეტები და ს.-დემოკრატები. ასეთი გაყოფა ძალიან საეჭვოდ ხდის ოპოზიციის გამარჯვებას და ხელს უწყობს შავ-რაზმელთ. საკმარისია გავიხსენოთ შარშანდელი არჩევნები, რომ აღვიაროთ ტფილისის რუსობაში შავრაზმულ საფრთხის არსებობა. შარშან ზოგიერთ საარჩევნო უბანში „პატრიოტებმა“ დიდ-ძალი ამომრჩეველი შეაგროვეს; მაგალითად, 1-ლსა და მე-10 უბნებში; გარდა ამისა დიდ-ძალი სექტანტობა მე-8 და მე-10 უბნებისა უეჭველად გაიყოფა კადეტებსა და ს.-დემოკრატებს შორის, რადგან ორთავეს ჰყავს ბევრი თანამგრძნობელი ამ ელემენტში. ამიტომ ვფიქრობთ ჩვენ, რომ კადეტების გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნებოდა ტფილისის „რუსთა კურიაში“, ს. დემოკრატებს მხარი რომ დაეჭირათ მათთვის; ხოლო ახლა უფრო მოსალოდნელია „პატრიოტულ“ ელემენტების გამარჯვება, რასაც შედეგად მოჰყვება „ხატერიანის“ გაგზავნა სათათბიროში და რეაქციის იმედის გამართლება. ეს-კი ეწინააღმდეგება ს.-დ. ტაქტიკას, რომელიც ამბობს, რომ „სადაც შავრაზმული საფრთხეა, იქ ს.-დემოკრატიამ მხარი უნდა დაუჭიროს ლიბერალურ ბურჟუაზიასაო“ და რომლის აუცილებელ საჭიროებას დღევანდელ პოლიტიკურს მომენტში გულმოდგინედ ქადაგობს რ. ს.-დ. ლიდერი გ. პლეხანოვი.

A propos: დაგვავიწყდა, რომ „პლეხანოვის დამოწმების“ შესახებ „ჩვენმა გზამ“ აურ-ზაური აგვიტეხა. ვსაუბრობთ შემთხვევით და ვუხსნით გაზეთს, რაშია საქმე, თუმცა... თუმცა თვითონაც კარგად იცის და ტყუილად თავს იკატუნებდა, ვითომ ვერ გაიგო, რათ ვახსენეთ პლეხანოვი. ჩვენ ვგულისხმობთ გ. პლეხანოვის წერილს „ტოვარიშჩ“-ში „Неосновательныя опасенія“, სადაც მენშევიკების ლიდერი კადეტს კიზევეტტერს ანუგეშებს, რომ თუმცა ს.-დ. საარჩევნო პლატფორმა „ცუდათ არის შედგენილი და ცუდათ არის მოფიქრებული“, იმედია მუშები თვით გამოიჩენენ გამჭრიახობასაო და ლიბერალურ ბურჟუაზიას მხარს დაუჭერენ, სადაც შავრაზმული საფრთხე იქნებაო. პლეხანოვი პირდაპირ სწერს, რომ რუსეთის შეგნებული მუშები „უნდა გაუფრთხილდნენ, როგორც საშინელ შეცდომასა და უდიდეს სამარცხვინო საქმეს, ყოველ ისეთ ნაბიჯის გადადგმას, რომელსაც შეუძლია ლიბერალურ ბურჟუაზიის პოზიციების დასუსტება ძველ რეჟიმთან ბრძოლის დროს“. ეს სიტყვები გვქონდა ჩვენ სახეში, როცა ვწერდით, რომ „მომავალ სათათბიროში კადეტებს დიდი ბრძოლა ექნებათ მარჯვნით ხულიგანებთან და ამ დროს მარცხნიდანაც თავდასხმა მათზე დიდი შეცდომა იქნება“. რათ გაიკვირვეს ჩვენმა მოკამათეებმა პლეხანოვს ხსენება ამ შემთხვევაში, არ გვესმის. ერთი ეჭვი გვაქვს მხოლოდ: „ჩვენ გზას“ უნდოდა თავის მკითხველებისთვის ეჩვენებინა, ვითომ უდიდესი ოპორტუნისტი პლეხანოვი ჩვენ ბოიკოტის ტაქტიკის მომხრედ გვინდა გამოგიყვანოთ; მაგრამ ეს ხრიკი არ ვამოდგა და მაგიერად რაღაც გაუგებარი როშვა დაიწყეს სიყალბეზე...

### პოლონელ სოციალისტთა პარტია.

გუშინწინ ვწერდით პოლონელ პოლიტიკურ პარტიების შესახებ. ჩვენი წინასწარმეტყველება, რომ ნაროდოვცები მარტონი დარჩებიან საარჩევნო ბრძოლის ველზე, სრულიად გამართლდა. პროგრესისტების შემდეგ „ეროვნულ კონცენტრაციიდან“ გასულან და გადიან სხვა ბურჟუაზიული ჯგუფებიც და პარტიებიც. გარდა ამისა გაზეთები გვატყობინებენ შემდეგ საინტერესო ამბებს პოლონეთის სოციალისტურ პარტიების შესახებ:

სოციალისტურ პარტიებს, როგორც ვწერდით, ბლოკის შეკვრა უნდოდათ. „რეჩ“-ის ვარშაველი კორესპონდენტი იწერება ეხლა, რომ ეს ბლოკიც დაირღვაო. საქმე ისაა, რომ სოციალისტურ ბლოკის დედა-ბურჯი პოლ. სოც. პარტია იყო (პ. პ. ს.), დანარჩენი სოციალისტური პარტიები პოლონეთში, ს.-დემოკრატია და ბუნდი, ერთობ სუსტნი და მცირე რიცხოვანნი არიან. შარშან მაგალითად, როცა პ. პ. ს. ბოიკოტის ტაქტიკას ადგა, ს.-დემოკრატებმა ვარშავაში 80.000 ხმიდან ძლივს ერგოთ 1500 ხმა. სოციალისტურ ბლოკის მთელი იმე-

დი წელს პოლ. სოც. პარტიაზე იყო: ეს უძველესი სოციალისტური პარტია, რომელიც ამასთანავე ეროვნულ ნიადაგზე სდგას, დიდად გავლენიანია, როგორც მუშებსა, ისე ინტელიგენტებში. სოციალისტურ ბლოკს იმედი ჰქონდა, რომ ამ პარტიის ჩარევით, იგი სძლევდა ბურჟუაზიულ პარტიებს, მაგრამ მუშათა კურიაში არჩევნების შემდეგ პ. პ. ს. ხელახლა დაუბრუნდა ბოიკოტის ტაქტიკას. მუშათა კურიაში მან სავსებით გაიმარჯვა. ეხლა პარტია აცხადებს, დანარჩენ არჩევნებში არავითარ მონაწილეობას არ ვიღებთო.

ოფიციალური დადგენილება პარტიისა ასეა დასაბუთებული: „პ. პ. ს.-ს არ შეუცვლია თავისი აზრი არჩევნების შესახებ და იგი, როგორც წინა არჩევნებში, ისე ეხლა სათათბიროს ბოიკოტის მომხრეა; ხოლო თუ ახლა მიიღო მონაწილეობა მუშათა კურიაში, ეს ჩაიდინა იმიტომ, რომ დაემტკიცებინა, რამდენად უსაფუძვლოა ის მითქმა-მოთქმა, ვითომ პოლონეთის პროლეტარიატი „ქრისტიან დემოკრატების“ ან „ნაროდოვცების“ გავლენის ქვეშ იყოს. დიდი უმრავლესობა პოლონეთის პროლეტარიატისა ისევ პ. პ. ს.-ის გავლენის ქვეშ არის, რაც ნათლად დაამტკიცა ვარშავის არჩევნებზე, სადაც ოთხმოცდა ათ რწმუნებულიდან სამოცდა-ათი სოციალისტი იქმნა არჩეული“.

## მანიფესტაციები ჰუნგრეთში

ჰუნგრეთის ეხლანდელი სამინისტრო რომ შეუდგა სამეფოს მართვა-გამგეობას, ხალხს პირობა მისცა, რომ უთუოდ შემოიღებდა საყოველთაო საარჩევნო უფლებას. მაგრამ დღემდე დაპირება ცალიერ დაპირებად დარჩა და ხალხი ერთხელ კიდევ მოტყუვდა.

ჰუნგრეთის ეხლანდელი მინისტრები წმინდა წყლის ნაციონალისტები არიან: მათი მთავარი მიზანია სრული დამოუკიდებლობა ჰუნგრეთისა ავსტრიისაგან და ჰუნგრეთში მცხოვრებ სხვა ერების შევიწროვება, მათი გამადიარება და რა გასაკვირველია, თუ ასეთი მართველები სრულიად არ ჰფიქრობენ დაპირების ასრულებას.

მართლაც, ჰუნგრელ ნაციონალისტებისათვის სრულიად ხელსაყრელი არ არის საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღება: ასეთი საარჩევნო უფლება აუცილებლად გააძლიერებს სხვა ერების წარმომადგენლობას პარლამენტში, აუცილებლად გააძლიერებს ნამდვილ დემოკრატიულ ელემენტებს, ე. ი. დღევანდელი პარლამენტი, რომელიც გაბატონებულ ერისა და გაბატონებულ კლასების გამომხატველია, თანდათან შეიცვლება და უფრო დაუახლოვდება ხალხს. ეს გარემოება კი ნიადაგს აცლის ყოველ ჯურის ნაციონალისტობას და საბოლოო დამარცხებას უქადის მას.

ჰუნგრეთის ეხლანდელი მინისტრები სტყუოდნენ, როცა ხალხს ეუბნებოდნენ—საყოველთაო საარჩევნო უფლებას შემოვიღებთო. ეს ტყუილი დღეს ყველასათვის ცხადი შეიქნა და უკმაყოფილო ხალხი ამოძრავდა.

მოძრაობაში მონაწილეობა მიიღეს არა მარტო მუშებმა, გლეხებმა და ხელოსნებმა, არამედ წვრილმა ვაჭრებმაც და ოცდა-შვიდ სექტემბრისათვის დანიშნული იყო საყოველთაო გაფიცვა და დიდი მანიფესტაციები.

მთავრობაც დატრიალდა, მოინდომა დაწყებულ საქმის ჩაშლა; სხვათა შორის, რკინის გზის მოსამსახურეებსა და მუშებს გამოუცხადა—თუ მიიღებთ მონაწილეობა გაფიცვაში, ყველანი დათხოვნილი იქნებითო.

არ ვიცით, რამდენად გასჭრა მთავრობის მუქარამ. მაგრამ მკითხველი დღევანდელ დეპეშიდანაც დაინახავს, რომ ხალხს დიდებული მანიფესტაცია გაუმართავს. თან იმასაც შეიტყობს, რომ მთავრობა და მისი მომხრენი თითქოს არა ჰფიქრობენ ხალხის მოთხოვნის დაკმაყოფილებას: პარლამენტმა ხმის უმრავლესობით უარჰყო სოციალისტ დეპუტატის წინადადება, რომ დაუყონებლივ განეხილა პარლამენტს მისი შეკითხვა შესახებ საყოველთაო საარჩევნო უფლებისა.

მაგრამ ასეთი ჯიუტობა აუცილებლად ხანმოკლეა: ჰუნგრეთში, სადაც საოცარის სისწრაფით იზრდება მუშების პოლიტიკური და პროფესიონალური ორგანიზაციები, სადაც გლეხების მოძრაობა და ორგანიზაცია, იტალიის შემდეგ, საუკეთესოდ არის მოწყობილი, ხალხის წინაამდეგი მთავრობა და საარჩევნო წესი დიდხანს ვერ იპოვნებს.

## არჩევნები

**ბათუმი.** რუსთა კურიაში აირჩიეს ორი ამომრჩეველი მონარქისტი: დელოვი და ტურკინი.

—

**არჩევნები.** ხვალ, 30 სექტემბრისთვის, ზუბალაშვილის სახალხო სახლში დანიშნულია რუს მცხოვრებთა კურიის არჩევნები. უნდა აირჩიონ 11 ამომრჩეველი. როგორც გადმოგვცეს, პატრიოტული საზოგადოება, რუსთა კავშირი და სხვა მემარჯვენენი შეერთებულან.

—

**გორი.** 26 სექტემბერს ქ. გორში მოხდა გლეხთა კურიის რწმუნებულების კრება ამომრჩეველთა ასარჩევად. სულ გამოცხადდა 41 რწმუნებული. ერთხმად აირჩიეს ორი კაცი: გიგო მექვაბიშვილი (ეს-დეკი) და პეტრე ქიტიაშვილი (უპარტიო).

27 სექტემბერს კიდევ ქალაქ გორში მოხდა არჩევნები. ამომრჩევლად აირჩიეს გიგო საძაგლიშვილი (სოც.-დემ.).

—

**მუშების კურიაში.** გუშინ, 28 სექტემბერს, ტფ. ქალაქის გამგეობის დარბაზში, ქალაქის თავის თავმჯდომარეობით, მოხდა საარჩევნო კრება ტფილისის გუბერნიიდან მუშების მხრივ ამომრჩევლების ასარჩევად. კრებას 18 რწმუნებული დაესწრო, ტფილისიდან არჩეულ იქმნა ივანე შევჩენკო, ხოლო გუბერნიის მუშებისაგან—იროდიონ თხილაძე, ორივე ს.-დემოკრატი.

—

**ტფილისის მაზრა.** 26 სექტემბერს ტფ. მაზრის გლეხთა კურიაში ამომრჩევლად ამორჩეულ იქმნა ჯ..დაური. ს.-დემოკრატი

—

**არჩევნები ტფილისში.** გუშინ ტფილისის სხვა და სხვა საარჩევნო ნაწილში შეუდგნენ ბიულეტენების თვლას. თვლა ძალიან გვიან დაიწყო, ამიტომ ვერ მოვასწარით შედეგის დაბეჭდვა. პირველ საარჩევნო ნაწილში თვლას დილიდანვე შეუდგნენ, ამიტომ ოთხი საათისთვის უკვე გამოირკვა, რომ ს.-დემოკრატებმა გაიმარჯვეს. აქ აირჩიეს კ. ჩხეიძე და პ. გელეიშვილი—მეორე საარჩევნო ნაწილში ნაშუადღევის ოთხ საათზე დაიწყეს თვლა და გვიან გათავდა.

## ახალი ამბავი

**✦ ილია ჭავჭავაძის პატივსაცემლად.** როგორც ბაქოდან გვატყობინებენ, ბაქოს ქართველ საქველმოქმედო საზოგადოებას გადაუწყვეტია 27 ოქტომბერს, ილია ჭავჭავაძის ხსოვნის პატივსაცემლად, გამართოს საღამო. წაიკითხავენ განსვენებულის ლექსებს ქართულს, რუსულს, თათრულს, სომხურს და გერმანულ ენებზე. ქართულსა და რუსულ ენაზე 27 ოქტომბერს საღამო გაიმართება კავკავშიაც. ამ საღამოების შემოსავალი გადაიდება ილიას ფონდის გასაძლიერებლად.

**✦ სამგლოვიარო დეპეშები და წერილები** რედაქციამ კიდევ შემდეგ ადგილებიდან მიიღო სამგლოვიარო წერილები და დეპეშები ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების გამო. დეპეშა პეტერბურგის ქართველთა წრისაგან; წერილები: სოფ. კასისხევის (თელ. მ.) მცხოვრებთა მინდ—ით დავის ლაფაურიშვილისაგან, შინდისის (ქართლი) საზოგადოებისაგან და სხ. პანაშვიდები გადაუხდიათ კასისხევში, შინდისში და სხ.

**✦ ი. ჭავჭავაძის ნივთების პოვნა.** ამას წინად ჩვენ გაზეთში „ზაკავკ.“-დან გადმობეჭდილი იყო ამბავი ვინმე დოლიძის დაპატიმრების შესახებ. ეხლა იგივე გაზეთი შემდეგს გადმოგვცემს: სოფელ ბახვში დოლიძის ოჯახში უპოვნიათ ჩემოდანი ილია ჭავჭავაძის ნივთებით, რომელიც მკვლელებმა გაიტაცეს. თვითონ დოლიძე მიმალულა. პოლიციას დაუპატიმრებია მხოლოდ მისი ამხანაგი ვინმე ანდღულაძე. იმავე გაზეთის სიტყვით, დაუპატიმრებიათ აგრეთვე მღვდლის შვილი ასათიანი.

**✦ სოფლის დაჯარიმება.** ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, ორ-ორი მანეთით დააჯარიმეს თელავის მაზრის სოფ. გულგულის მცხოვრებნი. ბრალდებენ ავაზაკების დაფარვას.

**✦ გლეხთა გაჭირვება.** გორის მაზრის სოფლებ ჯვართმუხის, თხინარის, ივლის-ყურის, პატარა-ხალების, გუდასი, მიწობის, მღვრია-წყლის, თან-გუდას, დიდ-ხალების, ნარდუების და გაიდზლეების გლეხებს განაჩენით დადგენილი ქაღალდები შეუტანიათ გუბერნატორთან. გლეხები აცხადებენ, რომ რამდენიმე წელიწადია ზედი ზედ ცუდი მოსავალი იყო და ათასი სხვა უბედურებაც დაგვატყდა; ეხლა სულ აღარ გაგვაჩნია პური ოჯახების გამოსაკვებად, ამიტომ არ შეგვიძლიან გადავიხადოთ სახელმწიფო, საერობო და მემამულეთა გადასახადებიო. გლეხები შუამდგომლობენ, უფრო ხელ-საყრელ დროისათვის გადასდონ სახელმწიფო, საერობო და მემამულეთა გადასახადები. გარდა ამისა თხოულობენ, ეხლავე შეწეობა აღმოგვიჩინოთ და ფული მოგვცეთ თესლის სასყიდლად.

**✦ სწავლის დაწყება საკვირაო სკოლაში.** ვერის ვაჟთა საკვირაო სკოლაში სწავლა იწყება კვირას, დილით, 30 სექტემბერს. როგორც მოსწავლეთ, ისე დამხმარებელ-მასწავლებელთ სთხოვენ მიბრძანდნენ შემდეგის ადრესით: ბელინსკის ქუჩა (ვერაზე), კირპიჩნი შესახვევი, № 16, სამოქალაქო სასწავლებლის შენობაში.

**✦ მკვლელობა.** გორის მახლობლად, რკინის გზის ლიანდაგთან უპოვნიათ გვამი მემამულის ვლ. წერეთლის, რომელიც ხანჯლით ყოფილა მოკლული.

**✦ ახალი თავმჯდომარე.** საქართველოს სეგზარხოსის საეპარქიო სკოლების სასულიერო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ბაქოს ეპისკოპოსი გრიგორი, ხოლო ამავე საბჭოს საქმის მწარმოებლად—ბელ..ავსკი.

**✦ ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულებანი.** ტფ. გუბერნიაში ცხოვრება აეკრძალათ გიორგი ბაკურაძეს და მიხეილ დიმიტრაშვილს. დააჯარიმეს ხუთი თუმნით გოტლიბ მაიერი; სამი თუმნით—სახლის პატრონი საბა ავაზოვი; 25 მანეთით—სახლის პატრონი ნოლიშევსკი და სომხის წმ. გიორგი ეკლესიის სახლე... [illegible] აფეტოვი. დააპატიმრეს სხვა და სხვა წესების დარღვევისათვის ერთი თვით—სახლის პატრონი სოლომონ ჯანიაშვილი და სამი თვით—ივანე ოძელაშვილი.

**✦ ლექცია.** დღეს, 29 სექტემბერს, [illegible] მეორე გიმნაზიაში ექიმი ა. ი. ხატისოვი დაიწყებს ლექციების კითხვას ანატომია-ფიზიოლოგიიდან. ლექცია დაიწყება საღამოს 7 საათზე და გათავდება 8-ზე.

**✦ კიდევ შეტაკების შესახებ.** როგორც გუშინ ვწერდით, ოტტენის აფთიაქის სამი მუშა გაიფიცა. მუშებმა მოითხოვეს 5 მან. მომატება (აქამდე 14 მან. იღებდნენ) და საჭმლის მაგიერ ფული, სულ თითოს თვეში 25 მან. ოტტენმა მუშები დაითხოვა და სხვანი მიიწვია. 25 სექტემბერს აფთიაქართან მისულა, როგორც გადმოგვცეს, კერძო სახეზე სამი სხვა ყმაწვილი. ისინი ოტტენს თავის კაბინეტში მიუწვევია და დაუძახნია იქვე მყოფ პოლიციისათვის. „ოხრანი“ განყოფილების მოხელე გამოსდევნებია უცნობთ და როცა ერთი ელისტრატოვის ქუჩაზე გავარდნილა, პოლიციელს რევოლვერი დაუხლია

**✦ ქართული გიმნაზია** ტფ. ქართულ კერძო გიმნაზიაში უკვე დასრულდა ეგზამენები. პირველ კლასში 60 ყმაწვილმა დაიჭირა ეგზამენი. როგორც აღვნიშნეთ, მოსწავლეთა მშობლებმა სურვილი განაცხადეს თავიანთ ხარჯით შეინახონ პირველ კლასის პარალელური განყოფილება. სწავლის ფული ზოგმა უკვე შეიტანა.

**✦ სასიკვდილოდ დაჭრა.** 27 სექტემბერს მელიქოვის ბაღიდან სამხედრო ჰოსპიტალში მიუყვანეს სასიკვდილოდ დაჭრილი ზაქარია მენაძე. მენაძე ისე გარდაიცვალა, რომ გონს არ მოსულა.

# ფელეტონი

### რა არის საჭირო
### წერა-კითხვის საზოგადოებისთვის
(ზოგიერთი შენიშვნა)

(დასასრული *)

წესდების შეცვლას მოითხოვს სამოქმედო ასპარეზის გაფართოვება, გამგეობისა და საზოგადო კრების ურთიერთობის უკეთესი დამოკიდებულობა და გამგეობის მუშაობის მეტი ნაყოფიერობა: გამგეობაში ცამეტი კაცია და ძნელია, ყველანი ერთად უძღვებოდნენ ყოველს საქმეს; უმჯობესია, რომ გამგეობა რამდენსამე ჯგუფად, სექციად გაიყოს და თითოეული სექცია პირდაპირ გაუძღვეს განსაზღვრულს საგნებს.

საზოგადოებას უნდა გამოეცვალოს დღევანდელი სახელი და ეწოდოს „კავკასიის ქართველთა შორის **განათლების** გამავრცელებელი საზოგადოება“. თვითონ წესდებაში უნდა შეიცვალოს ზოგიერთი მუხლები ასე:

**ძველი წესდება:**

§ 1. საზოგადოების საგანია, ხელი შეუწყოს წერა-კითხვას და დასაწყისის განათლების გავრცელებას კავკასიის სანამესტნიკოს მკვიდრ ქართველთა შორის.

§ 2. ამ საგნის მისაღწევად საზოგადოება: 1) დაეხმარება იმ სკოლებს, რომელიც არსებობს; 1) ხელს შეუწყობს ახალ სკოლების გამართვას, ან თვითონვე გამართავს ასეთს სკოლებს თავის ღონისძიებით;

გ) გამართავს საკითხავს ხალხისათვის და სახალხო სამკითხველოებს;

დ) გამოსცემს სასწავლო, სახელმძღვანელო და სხვა წიგნებს საკითხავად ხალხისათვის; აგრეთვე თავის ღონისძიების გაძლიერებისათანავე და საჭიროების დროს გამოსცემს თავის „უწყებას“, ან სხვა რამ დროგამოშვებით ორგანოს ჯეროვანის წესით დამტკიცებულის პროგრამისამებრ;

ე) საზოგადოებასთან დააარსებს ბიბლიოთეკას, როგორც თავის წევრთა, ისე ხალხისათვის საკითხავად,—წიგნების საწყობს უფასოდ დასარიგებლად, ან სავაჭროდ, და სიზოგადოს საპედაგოგიო ნივთების საწყობს;

ვ) ხმარობს ყოველგვარ ღონისძიებას, მაზედ დამოკიდებულს, რათა სკოლებს მოუპოვოს გამოცდილნი მასწავლებელნი;

ზ) გამართავს საპედაგოგიო კურსებს და კრებას სახალხო მასწავლებელთა ქალთა და ვაჟთა;

ც) სახალხო სკოლების უფრო ნიჭიერ მოწაფეებს მოამზადებს ს. ხალხო მასწავლებლებად, ან იმ სასწავლებელში, რაიც არსებობს, ან, თუ საზოგადოებას ღონისძიება ნებას აძლევს, ამავე საგნისათვის გამართავს განსაკუთრებულს სასწავლებელს საკუთარის ღონისძიებით.

§ 5 საზოგადოებას უფლება აქვს შეიძინოს სრულ საკუთრებად უძრავი ქონება.

§ 13. საზოგადოების უმთავრესი მმართველობა ეკუთვნის მის ყველა წევრთა საზოგადო კრებას. საზოგადო კრება იქნება ჩვეულებრივი და საგანგებო. ჩვეულებრივი მოწვეული იქნება წელიწადში ერთხელ თვითონ კრების მიერ განსაზღვრულ ვადაზე; ხოლო საგანგებო შეიძლება, მოიწვიოს საზოგადოების თავმჯდომარემ ყოველ დროს განსაკუთრებითი საჭიროდ, ან გადაუდებელ საქმეთა გადასაწყვეტად.

§. 14. საზოგადოების თავმჯდომარედ, რომელიც მასთანვე არის გამგეობის თავმჯდომარეც, ამოირჩევა საზოგადოების ერთ-ერთი წევრთაგანი სამის წლით.

§ 18. საზოგადოების საქმეთა უფრო დაახლოვებით მართვისა და მათ გამოაღმასრულებელის მოქმედებისათვის საზოგადო კრება აირჩევს გამგეობის ექვსს წევრსა და სამს მათს კანდიდატს.

**შენიშვნა:** გამგეობის წევრთა, აგრეთვე კანდიდატთა რიცხვი შეიძლება საზოგადო კრებამ გაადიდოს, თუ საჭირო შეიქმნა.

§ 20. გამგეობა აირჩევს თავმჯდომარის ამხანაგს, რომელიც სწევს თავმჯდომარის მაგიერობას მის სხვაგან ყოფნის დროს.

§ 21. გამგეობის მეცადინეობის საგანია:

ა) არჩევა თავის წევრთა შორის თავმჯდომარის ამხანაგისა, მდივნისა და ხაზინადარისა;

ბ) არჩევა დამხმარებელ წევრთა;

გ) წარმოება საზოგადოების წევრთა სიისა;

დ) შესრულება საზოგადო კრების ყოველ განოჩიერს დადგენილებისა;

ე) დანიშვნა სახალხო საკითხავისა, სამკითხველოების, წიგნთ-საცავისა და საწყობთა გამგეებისა;

ვ) მოპოვება სკოლებისათვის, სადაც საჭიროება იქნება, მასწავლებელ ქალ-ვაჟთა, სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნებისა;

ზ) წარმოება შემოსავალ-გასავლის დავთრებისა და საზოგადოების თანხის ანგარიშისა;

ჱ) გამართვა საზოგადოების ღონის-ძიებათა გასაძლიერებლად სალიტერატურო საკითხავისა, საჯარო ლექციებისა, სამუსიკო საღამოებისა, წარმოდგენებისა, ფულის შესაკრებ ყულაბებისა და სხ.

თ) მოწვევა თავმჯდომარის მიერ საზოგადო კრებათა;

ი) წარდგენა საზოგადო კრებისთვის მოსაზრებისა მის შესახებ, თუ რა ღონისძიებაა საჭირო, რომ საზოგადოებამ მიზანს მიაღწიოს და მისი მოქმედება უფრო განვითარდეს;

კ) არჩევა მოწაფეთა, რომელნიც სახალხო მასწავლებლებად უნდა მომზადდნენ (§ 2 და 3), და

ლ) საზოგადოდ ყოველი საღმასრულებლო და სამართველო განკარგულება საზოგადოების საქმეთა გამო.

**ახალი წესდება:**

§ 1. საზოგადოების მიზანია, ხელი შეუწყოს განათლების გავრცელებას კავკასიის ქართველებს შორის.

§ 2. საზოგადოების საგანს შეადგენს საზოგადო და პროფესიონალური განათლება: უმაღლესი, საშუალო, მდაბალი, და აგრე წოდებული განათლება სკოლის გარეშე; როგორც თეორეტიული დამუშავება განათლების საკითხებისა, აგრეთვე დაარსება იმ დაწესებულებათა, რომელთა შემწეობით პრაქტიკულად განხორციელდება ცხოვრებაში განათლების საქმე.

§ 3. ამისათვის საზოგადოება: 1) ჰბეჭდავს წიგნებს, წიგნაკებს და დრო გამოშვებით გამოცემებს, 2) გამართავს ლექციებს, კრებებს, ყოველგვარ ტიპის სკოლებს, მუზეუმებს, კულტურისა და განათლების, წიგნის მაღაზიებს, ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, გამანათლებელ სეირნობას, ექსკურსიებს, გამანათლებელ სახალხო გასართობებს და სხ.; 3) დაეხმარება სკოლებსა და ბიბლიოთეკებს, რომლებიც არსებობს, და მოსწავლეებს; 4) გამართავს საჯარო შეკრებულობას თავის მოღვაწეობის საგნების განსახილველად; 5) დანიშნავს კონკურსებს იმ საკითხების გამოსაკვლევად და შესამუშავებლად, რომლებიც შეეხება მისი მოღვაწეობის საგანს, და საუკეთესო შრომას მისცემს დაწესებულს ჯილდოს (პრემიას); 6) გამოიკითხავს და მოახდენს გამოძიებას თავის მოღვაწეობის საგნების შესახებ; 7) დაიცავს განათლების მოღვაწეთა შრომას და პიროვნებას, დააარსებს საპენსიო და სხვა კასებს; 8) ხმარობს სხვა ყოველგვარ ზომას თავის მოღვაწეობის ნაყოფიერ წარმატებისათვის.

§ 5. საზოგადოებას უფლება აქვს შეიძინოს და გადასცეს სხვას უძრავი ქონება, შეადგინოს თანხა, შეჰკრას პირობანი, მიიღოს ვალდებულობა და პასუხი აგოს სასამართლოში.

§ 13. საზოგადოების უმთავრესი მმართველობა ეკუთვნის მის ყველა წევრთა საზოგადო კრებას. საზოგადო კრება იქნება ჩვეულებრივი და საგანგებო. ჩვეულებრივი მოწვეული იქნება წელიწადში ერთხელ თვითონ კრების მიერ განსაზღვრულ ვადაზე; საგანგებო კი მოწვეული იქნება გამგეობის დადგენილებით ან სარევიზიო კომისიის მოთხოვნილებით და აგრეთვე საზოგადოების 30 (ან მეტის) წევრის წერილობითი განცხადებით; უკანასკნელ ორს შემთხვევაში კრება უნდა მოწვეულ იქნეს არა უგვიანეს ერთის თვისა შემდეგ განცხადებისა და განცხადებაში აღძრულ საკითხების შესახებ გამგეობამ უნდა წარუდგინოს კრებას თავისი განმარტებანი.

§ 14. საზოგადო კრებას გახსნის გამგეობის თავმჯდომარე; შემდეგ თვითონ კრება ირჩევს კრების თავმჯდომარეს, რომელიც არ უნდა იყოს გამგეობის წევრთაგანი.

§ 18 საზოგადოების საქმეთა უფრო დაახლოვებით მართვისა და მათ გამოაღმასრულებელის მოქმედებისათვის საზოგადო კრება აირჩევს გამგეობის თავმჯდომარეს, რომელიც ამავე დროს არის საზოგადოების თავმჯდომარე, გამგეობის 12 წევრს და 4 მათ კანდიდატს.

**შენიშვნა:** გამგეობის წევრთა, აგრეთვე მათ კანდიდატთა რიცხვი შეიძლება შეცვლილ იქნეს საზოგადო კრების მიერ.

§ 20. გამგეობა აირჩევს თავმჯდომარის ამხანაგს, რომელიც სწევს თავმჯდომარის მაგიერობას მის სხვაგან ყოფნის დროს, მდივანსა და ხაზინადარს. გამგეობის მეცადინეობის საგანია: 1) მართვა საზოგადოების მთელი მოღვაწეობისა რწმუნების საზღვრებში; 2) შესრულება საზოგადო კრების დადგენილებისა; 3) მართვა-გამგეობა საზოგადოების უძრავ და მოძრავ ქონებისა; 4) თვალყურის გდება საზოგადოების დაწესებულებათა და საქმეთა წარმოებისა; 5) ყოველ გვარი ზომები საზოგადოების ღონისძიებათა გასაძლიერებლად; 6) წარდგენა მოსაზრებათა საზოგადო კრებისათვის იმის შესახებ, თუ უკეთ როგორ მიაღწევს საზოგადოება თავის მიზანს და როგორ გაძლიერდება მისი მოღვაწეობა; 7) არჩევა დამხმარებელ წევრთა; 8) არჩევა აგენტებისა საზოგადოების წევრებისაგან, და 9) საზოგადოდ ყოველი საღმასრულებლო განკარგულება საზოგადოების საქმეთა გამო.

§ 23. საქმეების პირდაპირ წარმოებისათვის გამგეობა გაიყოფება სექციებად (სკოლის სექცია, ბიბლიოთეკის ს., გამომცემლი ს. და სხ.); გამგეობის საერთო

*) იხ. „ისარი“ № 214

✦ **რეპერტუარი.** 27 სექტემბერს ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ, სხვათა შორის, განიხილა საკითხი სასეზონო რეპერტუარის შესახებ. გამგეობამ რეპერტუარის შესადგენად აირჩია განსაკუთრებული კომისია. ამ კომისიაში მიწვეულ იქმნენ ს. ფირცხალავა, ივ. ივ. ზურაბიშვილი. ივ. გომართელი, ალ. ივ. სარაჯიშვილი და დ. ნახუცრიშვილი. კომისია ეხლავე შეუდგება მუშაობას. ვისაც ორიგინალური ან ნათარგმნი დრამატიული თხზულება აქვს, უნდა წარუდგინოს აღნიშნულ კომისიას.

✦ **ფულის გატაცება.** 27 სექტემბერს, საღამოს 11 საათზე, რვა შეიარაღებული კაცი პუშკინის ქუჩაზე შევარდა სალომე სურგუნოვის ბინაზე. უცნობებმა ცემეს სურგუნოვისას და გაიტაცეს ორი მომგებიანი ბილეთი და ფული, სულ 900 მანეთისა. ამავე დღეს შუადღისას ორი უცნობი მიხეილის ქუჩაზე შეუვარდა მეფურნეს და გაიტაცა 6 მანეთი

✦ **გაჩხრეკა და არალეგალური ლიტერატურა.** 27 სექტემბერს გაჩხრიკეს კაპელამისტერ მიხაილოვი, ალექსანდრე ყარაგაშევი და კარაპეტოვი. უპოვნეს არალეგალური ლიტერატურა და მიწერ-მოწერა.

✦ **უმაღლესი კურსები.** დღეს 29 სექტემბერს, უმაღლეს კურსებზე ი. აბულაძე განაგრძობს ლექციის კითხვას ქართულ ენის შესახებ.

✦ ბორჩალოს მაზრის სოფელ გერგერის გლეხებს შუამდგომლობა აღუძრავთ, მიეცეთ ტფილისის გუბერნიაში თავისუფალი სახელმწიფო სახნავ-სათესი და საბალახო მიწები.

✦ ტფ. მაზრის სოფელ მამკოდის გლეხები შუამდგომლობენ, რომ სასოფლო სამეურნეო ბანკიდან მიეცეთ სესხად 1000 მანეთი თესლის სასყიდლად.

## პრესსა

—:—

ჩვენებურ სოც.-დემოკრატებს ჩვეულებად გადაექცათ ს.-ფედერალისტების წინაამდეგ ასეთ არგუმენტის წამოყენება: სოც.-ფედ. პარტია თავ.-აზნაურებისა და მემამულეთაგან შესდგებაო. მაგრამ ამავე დროს ისინი ივიწყებდნენ და ეხლაც ივიწყებენ ხოლმე, რომ შარშან სოლოლაკის ბურჟუაზიამ სოც.-დემოკრატები აირჩია. ეხლაც განმეორდა ასეთი ამბავი: „ჩვენი გზის“ გუშინდელ ნომერში დაბეჭდილია წერილი გურიიდან, რომელიც ასეთი ბზიკურ აღფრთოვანების კილოთია დაწერილი:

> დამთავრდა მთელ გურიაში არჩევნები, დამთავრდა... და გაიმარჯვა სოც.-დემოკრატიამ. დამარცხდნენ შავრაზმელები, დამარცხდნენ რეაქციონერები, გაიმარჯვა ხალხის სურვილმა...

ყველასთვის ცხადია, თუ რამდენად შეუკრა გზა არჩევნებში ხალხს სამი ივნისის განმარტებამ; ამას დაუმატეთ ის გარემოება, რომ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ 3 ივნისის უკაზს კიდევ დაუმატა თავისი განმარტება და თითქმის 70 პროც. გაიდევნა საარჩევნო ასპარეზიდან, მხოლოდ თავად-აზნაურებს და სამღვდელოებას დარჩათ ბურთი და მოედანი.

* *
*

3 ივნისის კანონით „მხოლოდ თავად-აზნაურებსა და სამღვდელოებას დარჩათ ბურთი და მოედანი“, რაიც სრული ჭეშმარიტებაა; ადგილობრივმა ადმინისტრაციამ თითქმის 70⁰/₀ განდევნა საარჩევნო ასპარეზიდან“, მაგრამ მაინც სოც.-დემოკრატებმა გაიმარჯვეს! პროლეტარული პარტიაც ასეთი უნდა! ნეტა ამის შემდეგ კიდევ იტყვიან ჩვენებური დემაგოგები, რომ სოც.-დემ. პარტია პროლეტარებისაგან შესდგება, ფედერალისტებისა კი თავად-აზნაურობისა და სამღვდელოებისაგანაო?!

## პროვინციის ცხოვრება

**ფრონის-ხეობა.** ამას წინად გორის მაზრის უფროსს სოფ. ცეროვნისში დაბარებული ჰყავდა სამი სამამასახლისო—აღისა, ატოცისა და ოქონისა. მეორე დღესვე ამდენივე—ერედვისა, წუნისისა და ბრეთისა. დილის ცხრა საათიდან ხალხმა იწყო დენა, ორი ათასზე მეტი შეიყარა. შუადღე გადავიდა, მაზრის უფროსი არსად სჩანდა, ხალხი მოუთმენელი უშველებლად ლოდინით ელოდა სოფელს და გენახებს. ცეროვნელები ძალიან შესწუხდნენ ამდენა თავმოყრილ ხალხისაგან სადამოზე მოვიდა მაზრის უფროსი; თავ. გრ. ჯავახიშვილის სახლში აქაური თავად-აზნაურობა დახვდა. მათ მაზრის უფროსმა გამოუცხადა: მე მოვედი იმიტომ, რომ თქვენ და გლეხები დიდების შესახებ მოგარიგოთ; მე, როგორც თქვენ ინტერესებს ხატივსა ვცემ, ისე გლეხების ინტერესებიც უნდა დავიცვა, ამის გამო გთხოვთ, რაც შეიძლებოდეს, თქვენ გლეხებს შეღავათით გადასახდევინოთ დალები. როგორც ცნობებიდანა სჩანს, წელს აქეთ მხარეს ძალიან ნაკლები მოსავალი მოვიდა და, რასაკვირველია, თქვენგან იმედი მაქვს, დალებს შეუმსუბუქებთ. ამასთან თუ გლეხი სრულიად უარს იტყვის გადასახდელზე, მაშინ მე სხვა ზომებს მივიღებო.

შემდეგ გარეთ აივანზე გამოვიდა მაზრის უფროსი და ძირს თავ-მოყრილ ხალხს გამოუცხადა: თქვენ რაცა ამ სამი წლის განმავლობაში გიქადაგებდნენ ის ცრუ მოქადაგეები, მგონი, რომ მიხვდით, როგორ შეჰყევდით მათ შეცდომაში, ახლა კი ნანობთ. ამასთან თქვენში კიდევ მოიპოვებიან ისეთები, რომ რიდასიც იმედი აქვთ; ტყუილად ნუ იმედოვნებენ. გურჩევ მათ, ეგ აზრები თავიდან მოიშორონ. თქვენ ძალით გვრას გახდებით და გირჩევთ ნებაყოფლობით მორიგდეთ მებატონეებს. თუ თქვენის ნებაყოფლობით არ გაუთავებთ, მაშინ, იცოდეთ, ყაზახებს ჩაგიყენებთ და მათხით აგკრეფავ მათ დალებს. ამდენა ხალხიდან პასუხი არავინ გასცა და ხმა-ამოუღებლივ დაიშალა ოც ენკენისთვემდის ვადა ჰქონდათ, რომ მებატონეებს გასწორებოდნენ დალებში.

წელს ფრონის ხეობაში ძალიან ნაკლები მოსავალი იყო, ოქონასა და კნოლეში დღიურზე სამი კოდი პური (15 ფუთი) გამოვიდა. აქაური მემამულეები ცოტ-ცოტა რასმე ხვნენ და უწეიან, რაც მოსავალი იყო. ცეროვნისსა, ავლევში და თამარაშენში საშუალოზე ნაკლები მოსავალი იყო; აბისსა, ბერძნაულსა და ფცაში საშუალო მოსავალი მოვიდა. რაც შეეხება ოქონის ზემოთ სოფლებს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ერთ-ორ სოფელს, ნაკლებზე-ნაკლები იყო, მეტადრე მთაგორიან სოფლებში, სადაც სრულიად არა მოვიდა რა. ვინც ნადრაც მოასწრო სიმინდის დათესა, იმას კიდევ არა უშავს-რა. წელს სიმინდი ნაგვიანევი იყო. პური კი რაც მოუვიდათ, საშველად არ ეყოთ; მეტი შემოუსვლელ სიმინდს სჩეხავდა, ახმობდა და ასე ამ რიგად ეწვალებოდა.

დღევანდელ გარემოების გამო მომრიგებელ შუამავალი მემამულეს, ვინც მიმართავს დალის გადასახდელად, კოდ-პურს სამ მანეთად უწესებს, სიმინდს—2 მან. 50 კ., ქერს არაფერს. ასეთ ფასების გადაწყვეტის გამო მემამულენი უკმაყოფილონი გახდნენ შუამავლისა და ადმინისტრაციას მიმართეს.

საბუთიანად თხოულობენ მემამულენი დალებს თუ არა, სულ უბრალოდ შეიძლება ამისი ახსნა. რა შემოსავალს იძლევა ერთი დღიური სახნავი მიწა და რა უჯდება გლეხს წინასწარვე მოყვანა? ფრონის ხეობაში დღიურზე (1200 ოთხკუთხი საჟენი), წლიწადი შესვდება 5 კოდი მოდის; არის ისეთი წლიწადი, დღიური 9 კოდს იძლევა და ხან 7 კოდს. ორთა შუა რიცხვით დღიურზედ 7 კოდი უნდა ვიანგარიშოთ. მიწები, რომლებშიაც 12—15 კოდი მოდის, მაგრამ ესენი სათვალავში არ ჩავარდება, ამისთანა მიწა ძალიან ცოტაა. უნდა ვიანგარიშოთ საშუალო ფასი და არა წრეგადსული სამი მანეთი. გლეხი ერთ დღიურს ანეულს რვა უღლით გუთნითა ჰხნავს, გუთანი ფასობს 4 მანეთი. შემოდგომაზედ ეს ხნული უნდა ათიბოს ორი ოქროთი; ამათ მცირე სადილი—1 მ. 60 კ. თესლიც უნდება 1½ კოდი, ან ფულად—4 მ. 50 კ. მკის დროს სამ კოდს სწირდება ერთ დღიურს ერთი მცელავი, ერთი მეძნეხავი და ერთიც ორ-თითით მუშა; სულ ამათი ფასი მცირედ ჩავაგდოთ 1 მან. 70 კ. ურმით მოტანა კალოზედ ეღირება—1 მ. 40 კ. მუშების ხარჯიც ჩავაგდოთ 2 მ. 40 კ. მემამულეს უნდა მიეცეს მოსავლის მეოთხედი 1 კოდი და 6 ჩანახი., ან ფულად 5 მ. 25 კ., ლეწვა არ ჩავარდება ანგარიშში, რადგან ბზე ისტუმრებს სალეწს.

მამასადამე, დღიური, დღეს რა მდგომარეობაშიაც იმყოფება მიწის დამუშავება, იძლევა 21 მან. აქედან ზემოხსენებული დანახარჯი რომ გამოვიდეთ, გლეხს რჩება კიდევ 15 კაპ. ვგელა მიჰხვდება, რომ ვინც დღიურზედ იღებს მესამედს, ნახევარს, ან გადაკვეთით დღიურზედ—2 კ. 2 ხ. და 3 კოდს, დიდი უსამართლობაა. მეტადრე წრეულს განა გლეხს დალა მოეთხოვება!

Legatus.

## თეატრი და ხელოვნება

—:—

**ოპერა.** ბიზეს უკვდავი „კარმენ“-ი ამხანაგობის დასმა ვერ დასძლია და მშვენება ამ დიად ოპერისა მთლად დაჩრდილა გუშინწინდელ წარმოდგენაში.

ქ-ნი კოსაკოვა სრულებით არ შეეფერება კარმენის მგზნებარე მრავალ ფეროვან და ცვალებად ბუნებას. ვერც ერთი ჰანგი კარმენის პარტიისა მან ვერ იმღერა ცოტად თუ ბევრად შნოიანად და დრამატიული გაპიროვნება მის გულისთქმითა გამოუმეტყველი დარჩა.

ქ-ნი პაზოვიევა პაწია ხმის პატრონია, ამასთან მეტის-მეტად გამოუცდელია სცენისათვის და სწორედ ამიტომაც ნაკლები ეღირი სცევდა მიკაელას როლში.

ბ-ნი მახინი არ იყო ურიგო დონ-ხოზე; კარგად გადმოგვცა მესამე და მეოთხე მოქმედების დრამატიული წამები დონ ხოზეს როლისა და მეტის-მეტად წრფელის გრძნობით გამსჭვალა ლირიკული ჰანგი მეორე მოქმედებისა, როცა იგი, ყვავილით ხელში, კარმენს ესიყვარულება. ტორეადორის როლში ბ-ნი ენგელ-კრონი ძალიან უფერული და უგერო რამ იყო; ამის გარდა, ერთკილოვანად მღეროდა და ჰანგთა მეტყველებაში არავითარი განსხვავება არ აღნიშნა. ბ-ნი აკიმოვი ჩვეულებრივის ფარსის ფშუტს უფრო ჰგვანდა, ვიდრე ესპანელ ლეიტენტ ცუნიგას.

საერთოდ წარმოდგენას ნაკლებად ემჩნეოდა მთლიანობა. მეორე მოქმედების შესანიშნავი კვინტეტი სუსტად იქნა აღსრულებული. ორკესტრი, ბ-ნ ფალიაშვილის ლოტბარობით, ყოველ ღონისძიებამარობდა, რომ დაერჩინა სცენაზე გამეფებული უფერულება. წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო.

ი.

## რუსეთი

—:—

✦ **სახ. სათათბიროს თავმჯდომარე.** მომავალ მესამე სათათბიროს თავმჯდომარედ ასახელებენ ცნობილს საერობო მოღვაწეს დ. ნ. შიპოვს, რომელიც მოსკოვის გუბერნიაში იყრის კენჭს. მის კანდიდატურას მხარს უჭერენ „კადეტები“ და ზომიერი ლიბერალები.

✦ **იმედი.** ბიუროკრატია იმდენად დარწმუნებულია, რომ მესამე სათათბირო ზომიერი და საქმიანი იქნება, რომ მას ეხლავე გაუნაწილებია და დაუნიშნავს სამუშაო ვადა. დასვენების ვადას ასახელებენ შობასა და აღდგომას. ორი კვირით საზაფხულოდ დაითხოვენ ივნისში, ხელმეორედ მოიწვევენ ოქტომბერში. საზოგადოდ უმაღლეს ბიუროკრატიულ წრეებში აღარ ლაპარაკობენ სათათბიროს დათხოვნაზე.

✦ **მთავრობის დეკლარაცია.** მესამე სათათბიროს მთავრობამ მოუმზადა დეკლარაცია. მთელი დეკლარაცია ჯერ მზად არ არის, მაგრამ ძირითადი პრინციპები უკვე შეუმუშავებიათ. დეკლარაციის შინაარსი შემდეგში მდგომარეობს: მთავრობა წარუდგენს სათათბიროს პრაქტიკულ პროგრამას და ჩამოსთვლის ყველა კანონ-პროექტებს, რომელნიც სათათბირომ უნდა განიხილოს. მთავრობა ამასთან გააფრთხილებს სათათბიროს, რომ იგი კრიტიკამ არ გაიტაცოს და სერიოზულ მუშაობას შეუდგეს. სხვათა შორის, მთავრობა შეიტანს კანონპროექტს ადგილობრივ სასამართლოსა და პიროვნების ხელუხლებლობის შესახებ. ეროვნულ საკითხსა და ადგილობრივ თვითმართველობას სულ არ შეეხება მთავრობა.

✦ **რეფორმები ჯარში.** გენ. ზარუბაევის თავმჯდომარეობით შედგენილმა კომისიამ დაასრულა მუშაობა. კომისიის აზრით ეხლანდელ 55 მ. მაგივრად ოფიცერს უნდა მიეცეს თვეში 100 მ., გაუქმდეს უთანასწორობა არმიისა და გვარდიის ოფიცერთა შორის, შემცირდეს უფლებანი აკადემიაში კურს დამთავრებულთა და სხ.

✦ **რეპინის წასვლა აკადემიიდან.** განთქმულმა რუსეთის მხატვარმა რეპინმა სამხატვრო აკადემიას თავი დაანება და მოულოდნელად საზღვარ-გარედ წავიდა. მიზეზი აკადემიაში გამეფებული ბიუროკრატიული წესებია, რომელსაც ნიჭიერმა მხატვარმა ვერ გაუძლო.

## უცხოეთი

—:—

**ეროვნული მოძრაობა ინდოეთში.** ინდოეთი შეიშმუშნა. ასი წლობით მძინარე ერი იღვიძებს. ამ ცოტა ხანში პირველად შეიძრა უშველებელი ინდოეთი, რომელსაც მოთმინება გამოელია და მოისურვა აღდგენა დაკარგულ თავისუფლებისა და ეროვნულ დამოუკიდებლობისა. პირველმა განძრევამ ინგლისი შეაშფოთა და ააყაყანა. პარლამენტი და მთავრობა ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, თუ ვინ უფრო სასტიკ ზომებს მოიგონებს ინდოელთა დასასჯელათო. პირველ ხანებში მოძრაობა მართლა ჩაწყნდა, მაგრამ არ ჩაქრალა. პირიქით, უფრო გაღრმავდა, გაძლიერდა და გაფართოვდა. მივარდნილ პროვინციებიდან მოძრაობა ქალაქებში გადმოვიდა. ამას წინად ინდოეთის დედა ქალაქ კალკუტაში ქუჩებში სისხლიც დაიღვარა. აჯანყებულ ინდოელებს მიემხრო ნაწილი ინდოელთა პოლიციისა. ბენგალიაში მომხდარ აჯანყების ბელადები დააპატიმრეს და სამართალში მისცეს, მაგრამ სასამართლო ვერას გამხდარა, რადგან მოწმენი ხმას არ იღებენ, ან თავიანთ ბელადების სასარგებლოდ ლაპარაკობენ. თუ ვინმე არ თანაუგრძნობს მოძრაობას, დაშინებულია საიდუმლო ეროვნულ ორგანიზაციებისგან. უმაღლეს ადმინისტრატიულ დაწესებულებებში მრავალი ინდოელი მოხელე მსახურებს, მაგრამ უმეტესობა მოძრაობას ან ფარულად, ან კიდევ საჯაროდ უცხადებენ თანაგრძნობას; მალავენ რაზმელებს, ხელს უწყობენ მათს განთავისუფლებას, ფულს აძლევენ და სხ. მოძრაობას სათავეში უდგანან ვეკილები და უფრო კი ჟურნალისტები და მწერლები, რომელთაც ერთგულად მისდევს აუარებელი სტუდენტობა, ინტელიგენცია და მოწინავე საზოგადოება.

ინგლისს, როგორც ეტყობა, საქმე გაუჭირდება. ერთი მხრივ ეროვნული მოძრაობა დაიწყო ეგვიპტეში, მეორე მხრივ—ინდოეთში. ორივე ქვეყანაში 300 მილიონამდე მცხოვრებია და მათი დაშოშმინება და ხელმეორედ დაპყრობა ადვილი საქმე არ არის.

## წერილი რედაქციის მიმართ

—:—

ახლად დაარსებულს „ისტორიისა და ეთნოგრაფიის ქართულ საზოგადოებას“ მოუვიდა შემოწირულება ფრონის ხეობიდან—161 მ. 86 კაპ. ეს ფული ჩამაბარა გუშინ, 27 ენკენისთვეს, ალექსანდრე ფალავანდიშვილმა და გუშინვე გადავეცი საზოგადოების ხაზინადარს ალ. სარაჯიშვილს.

ამ ფულის გაჩენის ამბავი ასეთია. 1903 წ. განიძრახეს დაეარსებინათ ბიბლიოთეკა ს. კნოლევში (ქართლი, საფალავანდიშვილო). საჭირო თანხის შესადგენად გამართეს 1903 წ. საცეკვაო საღამო ცოცხალი სურათებით და ვახშმით. შემოვიდა საღამოდან 76 მ. 15 კ. დაიხარჯა 44 მ. 15 კ. წმინდა მოგება დარჩა 32 მან. საღამოს დაესწრო 67 კაცი და ქალი. 1904 წელსაც გაიმართა საცეკვაო საღამო ვახშმით. დაესწრო 85 კაცი. შემოსავალი იყო 118 მ 16 კაპ. და შემოწირულება 50 მ., სულ 168 მ. 16 კ პ. შემოსწირეს: დ. ზ. მელიქიშვილმა 25 მან., გ. რ. ამირაჯიბმა—10 მ., კ. მ. ამირაჯიბმა 5 მ., ა. ი. ანანიაშვილმა—5 მ., ვ. ა. ფალავანდიშვილმა—2 მ., ი. რ. თარხნიშვილმა—2 მ. და ზ. ნ. ფალავანდიშვილმა—1 მან.

საღამოს გამართვას მოუნდა 61 მ. 17 კ. დარჩა წმინდა შემოსავალი 106 მ. 99 კ. წინანდელიც რომ მიუმატოთ, შესდგება 138 მ. 99 კ. ფული მიასესხეს ერთ კერძო კაცს სასარგებლოდ.

1905 წ. დამლევს არეულობის შიშით მოავალეს გამოართვეს თავნი და სარგებელი 152 მ. 6 კ. და შეიტანეს შემნახველ კასსაში ვადით. აქაც ისარგებლა ფულმა და შესდგა 165 მ. 06 კაპ.

მეთაურნი საქმისა ვერ ეღირსნენ ბიბლიოთეკის გახსნას ს. კნოლევში. ორჯელ მიართვეს არზა ადმინისტრაციას და ორჯელვე უარი მიიღეს. სულ ტყუილად და ამაოდ დაიხარჯა მარკებზე 3 მ. 20 კაპ. რაკი ბიბლიოთეკის გამართვის საქმე ჩაიფუშა, მეთაურებმა გადასწყვიტეს

---

სხდომები იქნება თვეში ერთხელ მაინც; გამგეობის სხდომა ჩაითვლება კანონიერად, თუ დაესწრო წევრთა ნახევარზე მეტი და მასთან თითოეულ სექციისაგან თითო წარმომადგენელი მაინც; თუ თავმჯდომარე და მისი ამხანაგი არ დაესწრო სხდომას, მათ მოადგილეობს ერთი წევრთაგანი. დანარჩენ დამსწრეთა მიერ დანიშნვით. როგორც გამგეობის, ისე სექციების სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იქნენ სათათბიროთ საზოგადოების წევრები. გამგეობის და სექციების სხდომებზე საქმეები გადაწყდება ხმის უმეტესობით, ხოლო თუ ხმები შუაზე გაიყო, თავმჯდომარის აზრი დასძლევს.

წესდების შეცვლა-შესწორების შემდეგ, მეორე საჭიროებას წარმოადგენს სადგომის გამოცვლა. ბინა, სადაც დღეს მოთავსებულია „წ. კ. საზოგადოება“, ყოვლად შეუფერებელია მისთვის. ერთი რომ პატარაა, მეორე—ისეთი ადგილია, სადაც ყველი გამვლელი და გამომვლელი, უსაქმო და საქმიანი თავს იყრის დროის გასართობად, ამბების გასაგებად, სალაყბოდ მართალია, ვერავის აეკრძალება „საზოგადოებაში“ მისვლა. პირიქით, „საზოგადოების“ ბინაზე შეიძლება გაიმართოს გარეშე კრებები სხვა და სხვა საზოგადოებრივ საქმისათვის მაგრამ ამისთვის უნდა იყოს დრო და უმთავრესად ადგილი, განცალკევებული ოთახი. დღეს კი მაღაზია, კანცელარია, მუზეუმი, ბიბლიოთეკა, გარეშე პირების მისაღები ოთახი,—ყველა ერთადაა მოთავსებული და არც მოსამსახურეებს შეუძლიათ ნაყოფიერი მუშაობა, არც გარედან მოსულს შეუძლია იმუშაოს და იმეცადინოს „საზოგადოების“ ბიბლიოთეკაში, წაიკითხოს, ან ამოსწეროს რამე. ცეცხლის მხრით მუდამ განსაცდელში იმყოფება „საზოგადოების“ ძვირფასი ბიბლიოთეკა. უადგილობისა გამო ხელნაწერები, წიგნები, ნივთები ერთი მეორეზე აწყვია, შეუძლებელია წესზე დალაგება, სუფთად შენახვა. სწორედ სამარცხვინოა, რომ ასე უწესოდ იყოს შენახული ის ძვირფასი განძები, რომლებიც მოეპოვება „საზოგადოებას“. რაც შეეხება წიგნის მაღაზიას, ის ხომ სრულებით უალაგო ალაგას იმყოფება: ისე მიმალულია სადღაც ეზოში, რომ ქართული წიგნის მყიდველი ისე ადვილად არ მიეკარება. ამგვარ არანორმალურ მდგომარეობას რაც შეიძლება მალე უნდა მოეღოს ბოლო. დიდი ხანია ვოცნებობთ, რომ ვინმე აგვიშენებს დიდებულს სახლს მუზეუმ-ბიბლიოთეკისათვის-მეთქი. მაგრამ ამას, ვინ იცის როდის ვეღირსებით. მანამდის კი საჭიროა, რომ უბრალო ხეირიანი ბინა მაინც, მოვიპოვოთ. ბანკის შემწეობით შეგვიძლია საკუთრებადაც შევიძინოთ პატარა სახლი და თუ ამას ვერ მოვახერხებთ, ისეთი ბინა უნდა იქნეს დაქირავებული, რომ შიგ ყველაფერი წესზე მოეწყოს. დღევანდელ ბინაში (თავ.-აზნაურობის ქარვასლაში) „საზოგადოება“ არაფერს იხდის, მართალია; მაგრამ სხვა ბინაზე რომ გადავიდეს, თავ.-აზნაურობა ბინის ნაცვლად ფულით დაეხმარება, უეჭველია. ამასთანავე წიგნის მაღაზია აუცილებლივ უნდა განცალკევდეს და მოთავსდეს ქუჩის პირად. ისე, რომ ყველასათვის ადვილად მისაწვდომი იყოს.

დასასრულ ორიოდე სიტყვით შევეხები „საზოგადოების“ ფინანსიებათა გაძლიერებას. ყველაზე უწინარეს უნდა გვახსოვდეს ის საანბანო ჭეშმარიტება, რომ „საზოგადოების“ შემოსავალი, მოიმატებს მისი მოღვაწეობის გაძლიერების კვალობაზე. რამდენად უფრო მხნედ და ენერგიულად იმუშავებს იგი, იმდენად მეტს თანაგრძნობას დაიმსახურებს და დახმარება—შემოწირულობასაც მეტს მიიღებს. ჩვენ დავასახელებთ ზოგიერთ ზომას სახსარის მოსაპოვებლად: უნდა გაადვილდეს საწევრო ფულის გადახდა და ამისათვის უნდა შემოვიღოთ მარკური სისტემა, უნდა გამოიცეს მაგალითად ხუთ შაურიანი მარკები და ვინც წლის განმავლობაში შეიძენს 12 ასეთს მარკას, გადახდილი ექნება საწევრო ფული; უნდა ეთხოვოს და დაევალოს ყველა ქართველ საფინანსო დაწესებულებას, ყოველ წლიურად ნაწილი თავისი მოგებისა თუ შემოსავლისა შესწირონ წ. კ. საზოგადოებას; უნდა გაფართოვდეს წიგნის მაღაზია, რომლის შემოსავალი ერთი ორად იმატებს, თუ კარგს ალაგას იქნება გამართული; წიგნის მაღაზიას უნდა მიემატოს საკანცელარიო განყოფილებაც, საიდანაც აუცილებელია წაიღებენ საქონელს ქართული სკოლები და სხვა დაწესებულებანი.

ასეთია მოკლედ ჩვენი დაკვირვებანი და დასკვნანი. საჭიროა საზოგადოების რეორგანიზაცია, არა მარტო გარეგანი, არამედ უპირველესად შინაგანი: მეტი სიმხნევე, მუშაობა, ძალა. წარსული 28 წლიწადი ავალებს საზოგადოებას, რომ მისი მომავალი იყოს უკეთესი და არა უარესი. ბევრი ცუდი რამ ხდება დღეს ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ სამშობლო ქვეყანა განახლების გზას დაადგა, წინ თავისუფალი და სამართლიანი ცხოვრება ბრწყინავს და მიუტევებელი დანაშაულობა იქნება, რომ ასეთ დროს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ სდუმდეს და მარჯვედ არ ეკავოს ხელში განათლების დიდებული ლამპარი.

კ—ი.

შეგროვილი ფული გადასცენ იმ „საზოგადოებას", რომელსაც აზრად აქვს შეისწავლოს და შეგვასწავლოს ჩვენი სამშობლოს ისტორია და გეოგრაფია იმ პირობით კი, რომ თუ „საზოგადოებას" შეძლება ექნება ოდესმე, გახსნას ს. კნოლევში ქართული ბიბლიოთეკა.

საღამოების გამართვას განაგებდნენ და ფულს აგროვებდნენ: თამარა გ. ჯავახიშვილი ა, ოლღა ი. კობიაშვილისა და ნინო ვ. ფალავანდიშვილისა.

**ა. ყიფშიძე.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**რ უ ს ე თ შ ი.**

27 სექტემბერი.

**უზმანი.** მესამე დღეა, რაც იწვის სახაზინო ტყე. უკვე დაიწვა 300 დესეტინა.

**მოსკოვი.** სოკოლნიჩის საქალაქო საავადმყოფოში გაზოლინის გადასხმის დროს გაუფრთხილებლობისა გამო მოხდა აფეთქება. დაშავდნენ ექიმი ლებედევი და სამი მუშა. დაიწვა ლაბორატორია და მისაღებ ოთახის ერთი ნაწილი.

**ლოძი.** ვიტზევსკის ქუჩაზე შეიარაღებულები მიუხტნენ ბავარიის მღვაჭრეს ბაცანოვსკის და ფული მოსთხოვეს. ბაცანოვსკი სასიკვდილოდ დასჭრეს, რადგან ფულის მიცემაზე უარი უთხრა.

**ორენბურგი.** შეიპყრეს ვოფსონის გამარცვის (8000 მან.) 6 მონაწილე.

**ხვარაია რუზ.** ბოროტ გამზრახველებმა გასძარცვეს სოფლის მამასახლისი; წაართვეს 1000 მანეთი და სასიკვდილოდ დასჭრეს.

**რიგა.** მატარებელზე თავ-დასხმას დაწვრილებით ასე გარდმოგვცემენ: ხუთი კაცი მატარებელით მიდიოდა, როგორც მგზავრი ერთმა მათგანმა მოახერხა მოსამსახურეთა ვაგონში შესვლა და ორი ტყვიით მოჰკლა ჟანდარმი, დანარჩენებმა სროლა აუტეხეს მეორე ვაგონს, სადაც იყო მეარტელე. მას მუშების დასარიგებელი ფული მიჰქონდა, დაიჭრა მეარტელე და ტელეგრაფისტი. მოკლულია კერმო ვექილი სუვეროვ. მეორე ჟანდარმმა და ორმა სტრაჟნიკმა სროლა ასტეხეს. ერთი ბოროტ გამზრახველი მოჰკლეს, მეორე დასჭრეს. დანარჩენები მატარებლიდან გარდახტნენ და მიიმალნენ. მოკლულს უპოვნეს რევოლვერი და პატრონები.

**ტომსკი.** 23 სექტემბერს ბარნაულში ხოლერით ავად გახდა 3, გარდაიცვალა 1; მაზრაში სოფ. ვოლხოვისკში გარდაიცვალა 6.

**ნოვო-როსიისკი.** ხოლერით ავად გახდა 7, გარდაიცვალა 5.

28 სექტემბერი.

**მოსკოვი.** 26 სექტემბერს საღამოთი მდიდარმა მეფაბრიკემ იასიუნინსკიმ (სახელმწიფო საბჭოს წევრის ძმა), კისელნი ვიწრო ქუჩაზე ვაჭრის ცოლის ივანოვის სახლში, რევოლვერი დაიხალა. დაჭრილის მდგომარეობა გამოურკვეველია.

**მარიუპოლი.** ღამე დაეცნენ კოტელნიკოვის ქალის ხუტორს. მძიმედ დასჭრეს 75 წლის მოხუცი, გაიტაცეს 300 მანეთი, ორი ცხენი და ეტლი.

**პრასკოვეია.** დაიწყო საოლქო სასამართლოს სესია, რომელშიაც პირველად იღებენ მონაწილეობას ნაფიცი მსაჯულნი.

**ვენდენი.** შუადღისას დაეცნენ ლებსკის საგლეხო სასამართლოს. მოჰკლეს მამასახლისი და მწერალი.

**ჩერნიგოვი.** სოფ. კრასნოში დაიწვა 48 სახლი.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** 26 სექტემბერს არც ქალაქში და არც სოფლებში ხოლერით არავინ გამხდარა ავად.

**სიმბირსკი.** სიზრანში ხოლერით ავად გახდა ერთი.

**მოსკოვი.** ზვენიგოროდის მაზრის სოფ. ბოგარში იპოვნეს მოკლული მექანიკოსი ვოზდვიჟენსკი და მისი ცოლი. ბოროტმოქმედობის კვალი რომ წაეშალათ, სახლს ცეცხლი წაუკიდეს. ნახეს ერთი გათუთქული გვამი.

**სევასტოპოლი.** თავისს სახლის მახლობლად ნახეს რევოლვერით მოკლული სანაღმო როტის კაპიტანი ლიმონი.

**ზრაცლავი.** ტულჩინოში გასძარცვეს ვაჭარი გიტირი. მოჰკლეს ერთი დარაჯი, წაიღეს 20,000 მანეთის ფული და ძვირფასეულობა.

**პოლტავა.** ბარონესსა ფონ მუგდენის მამულში დასწვეს ვაგონები და მუშათა ყაზარმები.—პერეიასლავს მაზრის სოფ. სენოში ცეცხლმა გაანადგურა 80 სახლი და ბევრი შინაური საქონელი. ზარალი დ დია.

**სამარა.** ხოლერით ავად გახდა 1, გარდაიცვალა 2.

**ომსკი.** ქალაქში ავად გახდა 10, გარდაიცვალა 4, მაზრაში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1.

**ოდესსა.** ბოლგარიის ქუჩაზე მცხოვრებ ბატოსთან მივიდა სამი კაცი და მოსთხოვა 5000 მანეთი. როცა მათ შეპყრობა მოუნდომეს, ერთმა მათგანმა გაისროლა და მეეზოვე მოჰკლა. ქუჩაში მათ პოლიციელებმა სროლა აუტეხეს. მძიმედ დაიჭრა ორი მოხუცი დედა-კაცი.

**სარატოვი.** ქალაქში ხელ-ახლა ხოლერით ავად არავინ არ გამხდარა. მაზრებში ავად გახდა 11, გარდაიცვალა 3.

**ტომსკი.** ბარნაულში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1.

**ნოვონიკოლაევსკი.** ავად გახდა 5, გარდაიცვალა 3.

**ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი**

**პეტერბურგი.** ევროპის რუსეთის 23 გუბერნიაში, ტობოლის და ენისეის გუბერნიაში, პოლონეთის 9 გუბერნიაში და კავკასიის 4 საარჩევნო ოლქში 27 სექტემბრამდე გლეხებს აურჩევიათ 17,808 რწმუნებული: 52 რუსთა კავშირის წევრი, 1 განაპირა შვეყნების კავშირისა, 9 წეს-რიგის პარტიისა, 37 ოქტომბრისტების თანამოაზრე, 65 ოქტომბრისტი, 6 მშვიდობიან განახლების პარტიისა, 8 კადეტების თანა-მოაზრე, 242 კადეტი, 26 შრომის ჯგუფისა, 6 გლეხთა კავშირისა, 132 ს.-დემოკრატი, 32 ს.-რევოლიუციონერი, 1125 თავისს თავის მონარქისტად მაღიარებელი, 4061 მემარჯვენე, 1419 ზომიერი, 2 კონსერვატორი, 31 უკიდურესი მემარცხენე, 1506 მემარცხენე, 11 მემარცხენეთა თანამოაზრე, 6 სოციალისტი, 1 ლიბერალი, 275 პროგრესისტი, 3 მაჰმადიანთა კოლო, 33 მაჰმადიანთა ზომიერ ფრაქციისა, 274 ნაციონალისტი, 74 ნაროდოვცების თანა-მოაზრე, 365 ნაროდოვცი, 1 პოლონეთის კლერიკალური პარტიისა, 178 ლატიშთა რეფორმისა, 79 დემოკრატი, 4691 უპარტიო, 3072 უცნობი.

ევროპის რუსეთის 42 გუბერნიაში, პოლონეთი 7 გუბერნიაში და კავკასიის 2 საარჩევნო ოლქში 27 სექტემბრამდე წვრილ მემამულეთ აურჩევიათ 8929 რწმუნებული. 95 რუსთა კავშირის წევრი, 3 რუსთა კურიისა. 71 ოქტომბრისტი, 2 მშვიდობიან განახლებისა, 8 ოქტომბრისტების თანა-მოაზრე, 85 ოქტომბრისტი, 8 კადეტთა თანა-მოაზრე, 236 კადეტი, 141—დემოკრატი, 1 ს.-რევოლიუციონერი. 720 პოლონეთის ნაციონალისტი, 939 ლიტველი ნაციონალისტი, 830 ნაროდოვცი, 53 ნაროდოვცების თანა-მოაზრე, 2 უგოდოვცი, 12 კონსტიტუციონალისტი, 457 თავისს თავის მონარქისტად მაღიარებელი, 2211 მემარჯვენე, 272 ზომიერი, 3 კონსერვატორი, 227 მემარცხენე, 86 პროგრესისტი, 1118 უცნობი, 1485 უპარტიო.

ევროპის რუსეთის 36 გუბერნიაში, პოლონეთის 2 გუბერნიაში და ტფილისის გუბერნიაში 27 სექტემბრამდე მუშებს აურჩევიათ 1981 რწმუნებული: 7 რუსთა კავშირის წევრი, 3 ოქტომბრისტი, 5 კადეტების თანა-მოაზრე, 22 კადეტი, 1 კადეტზე უფრო მემარცხენე, 218 ს.-დემოკრატი, 2 ს.-რევოლიუციონერი, 1 შრომის ჯგუფისა, 2 ესტონელი პროგრესისტი, 36 ნაროდოვცი, 10 თავისს თავის უკიდურეს მემარჯვენედ მაღიარებელი, 68 მონარქისტი, 171 მემარჯვენე, 194 ზომიერი, 14 უკიდურესი მემარჯვენე, 240 მემარცხენე, 26 პროგრესისტი, 21 სოციალისტი. 274 უპარტიო, 641 უცნობი.

ევროპის რუსეთის 21 გუბერნიაში, პოლონეთის 3 გუბერნიაში, მემამულეებს აურჩევიათ 911 ამომრჩეველი, 9 რუსთა კავშირის წევრია, 24 ბესარაბიის ცენტრის პარტიისა, 90 ოქტომბრისტი, 6 მშვიდობიან განახლების პარტიისა, 35 კადეტი, 23 ნაციონალისტ-ავტონომისტი, 2 პოლონეთის კოლო, 1 პოლონეთის რეალური პოლიტიკის პარტიისა, 51 ბალტიის საკონსტიტუციო მონარქიული პარტიისა, 56 ნაროდოვეცი, 2 კონსტიტუციო კათოლიკის პარტიისა, 170 თავისს თავის მონარქისტად მაღიარებელი, 296 მემარჯვენე, 5 უკიდურესი მემარჯვენე, 20 ზომიერი, 7 მემარცხენე, 5 პროგრესისტი, 3 პოლონურ მემარცხენე პარტიისა, 57 უპარტიო, 49 უცნობი.

ევროპის რუსეთის 26 გუბერნიაში მოქალაქეთ აურჩევიათ 336 ამომრჩეველი: 9 რუსთა კავშირის წევრი, 2 განაპირა ქვეყნების რუსთა კავშირისა, 2 ბესარაბიის ცენტრის პარტიისა, 6 ოქტომბრისტების თანამოაზრე, 31 ოქტომბრისტი, 1 ოქტომბრისტებზე უფრო მემარცხენე, 7 მშვიდობიან განახლების პარტიისა, 19 კადეტების თანამოაზრე, 60 კადეტი, 12 დემოკრატი, 1 მაჰმადიანთა ფრაქციისა, 2 ებრაელთა თანასწორობის კავშირისა, 2 ნაროდოვეცი, 12 ბალტიის კონსტიტუციონურ-მონარქისტული პარტიისა, 10 თავისს თავის მონარქისტად მაღიარებელი, 68 მემარჯვენე, 24 ზომიერი, 3 კონსერვატორი, 15 მემარცხენე, 22 პროგრესისტი, 29 უპარტიო, 10 უცნობი.

ევროპის რუსეთის 29 გუბერნიაში, პოლონეთის 5 გუბერნიაში, ციმბირის 2 ოლქში და კავკასიის 2 ოლქში გლეხებმა აირჩიეს 643 ამომრჩეველი. 3 რუსთა კავშირის წევრი, 4 ბესარაბიის ცენტრალური პარტიისა, 1 ოქტომბრისტების თანამოაზრე, 4 ოქტომბრისტი, 1 მშვიდობიან განახლებისა, 29 ნაროდოვცი 15 პოლონე ნაციონალისტი, 9 კადეტების თანამოაზრე, 13 კადეტი, 1 სახალხო სოციალ., 7 შრომის ჯგუფისა, 3 ს.-რევ., 3 ესტონელ ნაციონ. პარტ., 1 ლატიშელი კონსტიტუციონალისტი, 3 ლატიშთა რეფორმატორი, 5 ლატიშთა ნაციონალისტი, 8 მაჰმადიანთა ფრაქციისა, 40 მონარქისტი, 166 მემარჯვენე, 24 ზომიერი, 68 მემარცხენე, 10 უკიდურესი მემარცხენე, 1 მემარცხენეთა თანა-მოაზრე, 19 პროგრესისტი, 182 უპარტიო, 20 უცნობი.

ევროპის რუსეთის 15 გუბერნიაში და ტობოლის გუბერნიაში. პოლონეთის 6 გუბერნიაში, ციმბირის 2 ოლქში და კავკასიის 5 საარჩევნო ოლქში მოქალაქეებმა აირჩიეს 258 ამომრჩეველი: 4 რუსთა კავშირის წევრი, 2 ბესარაბიის ცენტრის პარტიისა, 3 ოქტომბრისტი, 1 ოქტომბრისტების უფრო მემარცხენე, 3 კადეტების თანა-მოაზრე, 42 კადეტი, 1 შრომის ჯგუფისა, 1 სახალხო სოციალისტი, 13 ს.-დემოკრატი, 2 ს.-დემოკრატების თანამოაზრე, 1 პოსტეპენოვეცი, 53 ნაროდოვცი, 2 პოლონურ რეალურ პოლიტიკისა, 2 მაჰმადიანთა ფრაქციისა, სიონისტი, 1 თავისს თავის მონარქისტად მაღიარებელი, 1 უკიდურესი მემარჯვენე, 11 მემარჯვენე, 1 ზომიერი, 2 ზომიერი კონსტიტ., 1 თავისს თავის უკიდურეს მემარცხენედ მაღიარებელი, 9 მემარცხენე, 42 პროგრესისტი, 26 უპარტიო, 3 უცნობი.

ევროპის რუსეთის 13 გუბერნიაში მუშებმა აირჩიეს 37 ამომრჩეველი. იმათგან 22 ს.-დემ., 5 ს.-რევოლიუციონერი, 4 მემარცხენე, 1 უკიდურესი მემარც., 1 პროგრესისტი, 1 ზომიერი, 1 უპარტიო, 2 უცნობი.

**უ ც ხ ო ე თ შ ი.**

27 სექტემბერი.

**მანილა.** ტაფტას პატივსაცემად გამართულ ნადიმზე ამერიკის სამხედრო მინისტრმა განაცხადა, ხმები ფილიპინის კუნძულების გაყიდვის შესახებ ტყუილია, მაგრამ შესაძლებელია მომავალში ფილიპინები დამოუკიდებლად იქმნას გამოცხადებული. კუნძულები მხოლოდ შეერთებულ შტატების უმაღლეს ზედამხედველობის ქვეშ იქმნებაო.

**პარიზი.** მოდის ცნობები წყალ დიდობის შესახებ. ავინიანში ხანის სახლ-კარი წაულეკია. პრივში სახლები დაუნგრევია და 7 კაციც დაღუპულა. ლუარა და მისი ტოტებიც ნაპირებიდან გადასულან. წყალდიდობისა გამო მატარებლები ძლიერ იგვიანებენ.

**სტამბოლი.** «ლლოიდი"-ს საზოგადოების გემზე „კასტორ"-ზე ქალაქ სმირნაში აღმოაჩინეს ტომრები 30 კილოგრამა დინამიტით და 156 კილოგრამა პატრონებით სავსე, აგრეთვე ბევრი თოფ-წამალი. ტომრების პატრონი არა ჩანს. საქონელი მთავრობას გადასცეს. იპეკის სანჯაყში რუს-სერბთა დეჩანის მონასტერში სამსახურიდან დაითხოვეს დამცველ რაზმის უფროსი სამსახურის ურიგოდ შესრულებისა და მონასტრის წინამძღვრის (ტომით რუსის) სიტყვიერად შეურაცხყოფისათვის.

**პარიზი.** ლავს მიუსაჯეს კატორღა 15 წლით. მას 20 წლის განმავლობაში უფლება არ ექმნება საფრანგეთში შემოსვლისა.

**ბუდაპეშტი.** 60,000-მა მუშამ მოახდინა მანიფესტაცია. მოითხოვეს საყოველთაო საარჩევნო უფლება. მანიფესტაცია გათავდა სახალხო მიტინგით.

**ლონდონი.** მომავალ კვირას მოხდება გემის პატრონების კრება. დაესწრებიან გემების პატრონთა კავშირის წევრები ანტვერპენიდან, ამსტერდამიდან, კოპენჰაგენიდან. გოტტენბურგიდან, ჰამბურგიდან და როტერდამიდან. ითათბირებენ, თუ რა ზომები უნდა მიიღონ სოციალისტურ პარტიების წინააღმდეგ, აგრეთვე-რუ როგორ უნდა განახორციელონ გემის პატრონთა საერთაშორისო კავშირი.

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატის პრეზიდენტმა წაიკითხა საგანგებო შეკითხვა სოციალისტ მეცოფისა საყოველთაო საარჩევნო უფლების შესახებ და შეეკითხა ეს საკითხი ახლავე განვიხილოთ, თუ არაო. ხმის უმეტესობით საკითხის დაუყონებლივ განხილვა უარყოფილ იქმნა.

**პარიზი.** ფალიერის თავმჯდომარეობით მოხდა მინისტრთა საბჭოს სხდომა მაროკოს შესახებ მოსალაპარაკებლად. ამავე დღეს დაადგინეს, დაინიშნოს პალატის სხდომა 9 ოქტომბრისთვის, ხოლო სენატისა—6 სექტემბრისთვის.

რედაქტორ-გამომცემელი **ე. ბაქრაძე ... ე. ბვალიშვილი.**


# განცხადებანი

**მეჩექმეთა ამხანაგობამ**

## „ნ დ ო ბ ა მ"

დროებით შესწყვიტა ტყავეულობით ვაჭრობა, რადგან ვერაგმა ხელმა შეაჩერა მისი წინ მსვლელობა (გაქურდვით). სამაგიეროდ საუკეთესოდ მოაწყო **სახელოსნო განყოფილება,** სადაც მოეპოვება ადგილობრივი ნამუშავარი, როგორც ძვირფასი შევრო და ხრომის ფეხ-საცმელი (ქალისა და კაცისა), ისე შავი საქონლისა ხელ მისაწვდენ ფასიანები, აგრეთვე საზაფხულო პარუსინისა, სუფთა და მკვიდრი ნამუშავარი, რისთვისაცა სთხოვს დაზარალებული ამხანაგობა შეგნებულ საზოგადოებას, ხელი შეუწყოს როგორც შეკვეთილ (ზაკაზის) საქმით, ისე მზად შეკერილის ყიდვით, და სკოლების საიჯარო საქმით. ვალად ვრაცხთ თავს, განვაცხადოთ, რომ ყოველ აღებულ საქმეს პირნათლად გავუძღვებით. ამხანაგობა გადაიდა კიროჩნი ქუჩაზედ, ბუღდანოვის შენობაში, № 11-ში, აფიცერთა საკონომიო საზოგადოების ცოტა ქვემოდ.

გამგე ამხანაგობისა **ს. ბერძნიშვილი.** (20—6.—13)

# იქირავება ქირით

ექვსი ოთახი თავის ვანნით და ყოველის მოწყობილობით, კუკიაში, ლისაგორსკის ქუჩ[აზე] სახლი **ნატროევისა.** (3—336—3)

ღია წერილი

# ჯიბგირებს

26 ენკენისთვეს, საღამოს 8 საათზე, ტფ. სადგურზე ჯიბგირებმა ამომაცალეს თხელი სევადიანი ვერცხლის საათი და ვერცხლისავე ძეწკვი, რომელსაც პაწაწა ხანჯალი ეკიდა. რადგან საათი ნაჩუქარი იყო, ამიტომ იგი ჩემთვის უფრო ძვირად ღირს, ვიდრე ჩემი ჯიბგირისთვის. უმორჩილესად ვთხოვ იმას, ვინც საათი ამომაცალა, დამიბრუნოს ის საათი ძეწკვით და მიიღოს სამაგიეროდ 25 მან. პატიოსან სიტყვას ვაძლევ, რომ არ გავცემ და ჩემს პირობასაც შევასრულებ.

**ადრესი:** ელიზავეტინსკის ქუჩა, № 1 „სემეინი" ნომრები, მდგმური მე-9 ნომრისა. (3—უ.—2)

# ვაქირავებთ

**მესამე სართულში ოთახებს**

ერთი ოთახიდან ოლდა ერთ ოთახამდის, სომხეთა ქუჩაზე ჯუმხაძის მემკვიდრის სახლში № 1.

სხვა და სხვა ფასებშია, ძალიან ხელ მისაწდომი, დაწყებული 6. მანეთიდან 20 მანეთამდე თავის ავეჯეულობით ვისაც სურს, ხოლო ვისაც არა სურს—უავეჯოთ. იქვე მოწყობილია სასადილო. მსურველს შეუძლიან დადგეს დროებით ესე იგი ერთისა, ორისა, ან მეტის დღით.

პატივის ცემით **არჩილ ანდრიას ძე ბლიაძე და სამსონ ესტატეს ძე ნოზაძე.** (5—332—5)

„წერა-კითხვის საზოგადოების" მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

1. **«ამბოხება კახეთისა»**, 1812 წ. ისტორიული ამბავი ა. ფრონელისა . . 1 მ.
2. **«საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია»**, ი. ჯავახიშვილისა . 15 კ.
3. **«ქართლის ცხოვრება»**, მარიამ დედოფლის ვარიანტი . . . . . . . 3 მ.
4. **«საბერძნეთის მველი ისტორია»**. ნორმან სა, თარგ. ვლ. ლორთქიფანიძისა 1 მ.
5. **«რომაელების მველი ისტორია»**, თარგმანი ვ. ლორთქიფანიძისა . . . 1 მ.
6. **«ფიზიკური გეოგრაფია»**, ს. იამგალისა . . . . . . . . 20 კ.
7. **«მასალების საქართველოს ისტორიისათვის»**, . . . . . . . . 1 მ.
8. **«საქართველოს ისტორია»**, მ. ჯანაშვილისა . . . . . . . 1 მ.
9. **«მთიულეთი»**, (ამბოხება 1814 წ.), ა. ფრონელისა. . . . . . . . 40 კ.
10. **«ცისარტყელა»**, სამხატვრო-სალიტერატურო კრებული (მრავალის სურათით). . . . . . . . . 15 კ.
11. «Очерки грузинской словесности», IV, ა. ხახანაშვილისა . . . 3 მ. 50 კ.
12. Судьбы грузинской церкви», გაზეთ «რუსკი სტიაგის» გამოც მა . . . 25 კ.
13. «Государственный строй древней Грузіи и древней Арменій», ი. ჯავახიშვილისა . . . . . . . 1 მ. 35 კ.

# ა ნ გ ა რ ი შ თ ა მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა

ქიათურის შავი ქვის მრეწველთა საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა.

1 სექტემბერს 1907 წელს.

აქტივი (აქვს).

| | | მან. | კ. |
|---|---|---|---|
| I. კასსა, ნაღდი ფული. . . . . | | 7430 | 17 |
| II. სახელდახელო ანგარიში ქუთ. გან. აზ. დ. კ. ბანკში. . . . . | | 195 | 09 |
| III. სარგებლ. ქაღალ. . . . . . | | | |
| ა) სათადარიგო თანხ. ანგარ. მ. | 300,— | | |
| ბ) საზოგადოების ანგარ. „ | 702,50 | 1002 | 50 |
| IV. განაღდება თამასუქებისა, არა ნაკლებ ორის ხელის მოწერით . | | 43016 | 70 |
| V. განაღდება სარგ. ქაღალდ. კუპონები და სხვა . . . . . | | 933 | 75 |
| VI. პროტ. წასული თამასუქ. (უზრუნ. ყოფ. თანხ. იხ. გ. პას.) . . . | | 4007 | 13 |
| VII. სესხი გაც. გირავ. . . . . . | | | |
| ა) სარგ. ქაღალდები უზრ. ყოფ. სარგ. . . . . . „ | 130,— | | |
| ბ) სარგ. ქაღალდები არა უზრ. ყოფ. მთავ. მიერ. . . . „ | 11825,99 | | |
| გ) შავ. ქვაზ. (2626000 ფ.) „ | 62775,96 | | |
| დ) საქონელზედა . . . „ | 1000,— | 75731 | 95 |
| VIII. კორესპონდენტ. . . . . | | | |
| ა) იმათ. ანგარ. . . . მ. | 3316,19 | | |
| ბ) საზოგ. „ . . . „ | 370,40 | 3686 | 59 |
| IX. გერბ. ქაღ. და თამ. | | 339 | 50 |
| X. გარდამავ. თანხა. . . . . | | 3420 | 27 |
| XI. მოწყობა-გამართვა საზოგად. | | 2486 | 52 |
| XII. მოვალ. საზოგ. . . . . | | 418 | 43 |
| XIII. ხარჯი დასაბრ. . . . . | | 775 | 36 |
| XIV. ზარალი 1905 წ. . . . . | | 261 | 42 |
| XV. მიმდინარე ხარჯი . . . . . | | 7329 | 39 |
| **ბალანსი.** | | 151034 | 77 |

(მართებს) პასსივი.

| | | მან. | კ. |
|---|---|---|---|
| I. თანხა, რაიცა შესდგება 10% შემ. საწ. ფულით 221 წევრთა მიერ, მიცემულ ვალდებ. რაოდ. საზ. წინაშე. . . . . . | | 19950 | — |
| II. დასაბრ საწევრო ფული, თანახმად §§ 12 და 14 წეს. საზოგ. . | | 208 | 29 |
| III. თანხა: . . . . . . | | | |
| ა) სათადარიგო . . . . მ. | 752,40 | | |
| ბ) ამორტიზაც. . . . . „ | 769,53 | | |
| გ) პროტ. წას. თამასუქების უზრ. საყ., შემდგ. 1906 წ. მოგებიდ. . . . . „ | 5119,23 | 6641 | 16 |
| IV. შემოტ. ფული: . . . . . | | | |
| ა) სახელდ. ანგ. . . . მ. | 36132,59 | | |
| ბ) ვადით . . . . . „ | 18673,31 | | |
| გ) უვადოთ . . . . „ | 1000,— | 55805 | 90 |
| V. განაღდ. თამას. საზოგ. მიერ ქუთ. განყ. აზ. დ. კ. ბანკში. . . . | | 6055 | — |
| VI. საგანგებო სახ. ანგარ. უზრ. ყოფ. | | | |
| ა) სარგებლ. ქაღალდ. მან. | 700,— | | |
| ბ) შავის ქვის . . . . „ | 35475,70 | 36175 | 70 |
| VII. სესხი აღებ. საზ. მიერ შავი ქვის გირავნობით . . . . . | | 5633 | 90 |
| VIII. კორესპონდენტ. . . . . | | | |
| ა) იმათის ანგ. (Loro) . . „ | 2775,13 | | |
| ბ) საზ. ანგარ. (Nostro) . . „ | 3942,29 | 6717 | 42 |
| IX. გადასაგზ. შემოტ. ფული. . . | | — | — |
| X. გარდამავ. თანხა. . . . . | | 2910 | 56 |
| XI. სარგებელი გარდ. . . . . | | 216 | 99 |
| XII. 5% სახელ. გარ. . . . . | | 1 | 61 |
| XIII. წმინდა მოგება. 1906 წ. . . | | — | — |
| XIV. შემოსული სარგებელი, გამოკლებით გასულისა . . . . . | | 10718 | 24 |
| **ბალანსი.** | | 151034 | 77 |

თავმჯდომარე გამგეობისა **თავ. კ. გ. აბაშიძე.**

ბუღალტერი **სოფ. ტარუაშვილი.**

დირექტორები: { **თ. ვ. ჯაყელი.** / **ა. ზ. გალუსტოვი.**